

ISSN 1987-6890

ა ვ ი ტ ე მ ი ა ლ ბ ე ბ ი

EKONOMISTI

საქორთველოს სამუშაოთა - მარკეტინგის უნივერსიტეტი

International Scientific - Analytical Journal

1

2 0 1 0

UDC33
გ-49

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეკონომისტი

საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი
გამოდის 2009 წლის იანვრიდან

იანვარი
თებერვალი

1

2010

მთავარი რედაქტორი რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

საქართველოს მთავრობის მეცნიერებათა მროვლები აკადემიის წევრ-კორპუსის დაწყების 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლამდე სილაბამ, ლომ ჩიხავა

ეკონომიკურ მთავრობის მეცნიერებათა დოკტორები:
იური ანანიაშვილი, როზეთა ასათიანი, კლიმენტი აჩელაშვილი, თემურ ბერიძე,
გიორგი ბერულავა, გახტაძე გურჯაშვილი, მიხეილ თორმაზიშვილი, თემურ კაციაშვილი,
მირგან გვარაცხელია, ალექსანდრე გურაფაშვილი, იაკობ მესხია, ელენა
მემკავიშვილი, გიორგი პაპაშვილი, უშაგი სამაღაშვილი, როლანდ სარჩიმელია,
ავთანაშვილ სულაბერიძე, თემურ შემგელია, თინა ჩხეიძე, ნორა ჭითანაშვილი, მიხეილ
ჯიბუთი.

აკადემიურ დოკტორები:
ნანუში არეგაძე, ნანა ბიბილაშვილი, მერაბ გველესიანი, ლინა დათვაშვილი, ლია
თორთლაძე (კასუსისმებელი მდიგარი), მთერ პაპულია, ნაზირა პაპულია, თემ
ლაშარაშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილი), ისა ნათელაშვილი, ნოდარ
ხადური, მამუკა ხშირგავა (მთავარი რედაქტორის მოადგილი), რეგაზ ჯაგა-
ხიშვილი, მარენ ხარაგავაშვილი.

უცხოელი წევრები:

ანა აზელაშვილი (დიდი პრიტანეთი, ასუსისხევაული მდიგარი უცხოეთში), ელდარ
ისმაილოვი (ყზერბაიჯანი), დავით ბურტანიძე (უზბეკის მთავარი რედაქტორის
მოადგილი), ანთანას მამსტიტუსი (ლიაზა), ვლადიმერ მემშიძე (ლატვია),
მიხეილ როგორლიშვილი (აზე), სლავონირ აატრიცკი (პოლონეთი), ლიმიტრი
სოროპინი (რუსთი), ანდრეი პერმანი (პოლონეთი).

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის
შეხელულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს და იგი პასუხს არ აგებს
ინფორმაციის სიზუსტეზე.

თბილისი

Paata Gugushvili Institute of Economics

EKONOMISTI

**International Scientific-analytical Journal
Published from January 2009**

January
February

1

2010

Editor-in-chief **Ramaz Abesadze**

SCIENTIFIC-EDITORIAL BOARD

CORRESPONDING MEMBERS OF THE NATIONAL ACADEMY OF SCIENCES OF GEORGIA:

LEADERSHIP MEMBERS OF THE INSTITUTE OF THE Leo Chikava, Vladimer Papava, Avtandil Silagadze

DOCTORS OF ECONOMIC SCIENCES:

Klimenti Achelashvili, Iuri Ananiashvili, Roseta Asatiani, Temur Beridze, Giorgi Berulava, Vakhtang Burduli, Nodar Chitanava, Tina Chkheidze, Mikhail Jibuti, Temur Kandelaki, Murman Kvaratskhelia, Alfred Kuratashvili, Jakob Meskhia, Elgija Mekvabishvili, Giorgi Papava, Ushangi Samadashvili, Roland Sarchimelia, Temur Shengelia, Avtandil Sulaberidze, Mikhail Tokmazishvili.

ACADEMIC DOCTORS:

Nanuli Arevaldze, Nana Bibilashvili, Lina Datunashvili, Merab Gvelesiani, Revaz Javakhishvili, Nazira Kakulia, Eteri Kakulia, Tea Lazarashvili (deputy editor-in-chief), Iza Natelauri, Nodar Khaduri, Elene Kharabadze, Mamuka Khuskivadze (deputy editor-in-chief), Lia Totladze (executive secretary).

FOREIGN MEMBERS:

Anna Akhvlediani (Great Britain, executive secretary abroad), Eldar Ismailov (Azerbaijan), David Kurtanidze (USA, deputy editor-in-chief abroad), Antanas Mackstutis (Lithuania), Vladimir Menshikov (Latvia), Slavomir Patritski (Poland), Mikhail Roketlishvili (USA), Dmitri Sorokin (Russia), Andrei Herman (Poland)

The journal follows the principles of free press. The views of editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information.

Tbilisi

ს ა რ ჩ ე ვ ი

რედაქტორისაბან	5
დემოგრაფია	
ლეო ჩიქვა, ჯამლუხ ჯანჯღავა – მწვავე დემოგრაფიული კითარება საქართველოში და მისი ნორმალიზების დონისძიებათა სისტემა	9
ცენტრალური გაგასის ეპონიმი	
Эльдар Исмаилов – О соотношении процессов глобализации и регионализации на центральном кавказе	16
გლობალური ვინანშრი პრინციპი	
Davit Aptsiauri – An Impact of the Global Financial Crisis of 2008-2009 on the US Economy (Some basic Trends, Statistical facts and Observations)	24
შრომითი რჩევსების მართვა	
ნინო აბესაძე – დასაქმების გენდერული ასპექტები საქართველოში	29
დარუჯან საბაშვილი – შრომითი რესურსების მართვის ზოგიერთი საკითხი	33
მიკროეკონომიკა	
A. B. Матевосян – Балансовая модель финансовой устойчивости предприятия	36
A. B. Матевосян – Проблема финансовой устойчивости и стабилизации предприятия	42
აუდიტი	
ნუზ ზარ ცომაია – აუდიტორული შემოწმების მეთოდიკის სრულყოფის საკითხები	47
ეპონიმიური თეორია	
მურმან კვარაცხელია – ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი ეროვნული ეპონომიკის ფორმირების ზოგიერთი თავისებურების შესახებ	50
Анзор Кураташвили – Правовые пути и механизмы решения проблем социально ориентированной рыночной экономики в условиях плюралистического общества	59
ნინო ჯურატაშვილი – სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და მისი მნიშვნელობა ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში	63
ეპონიმიური სტატისტიკა	
დავით ქბილაძე, ნინო აბესაძე – ბიზნესინფორმაციის საიმედოობა და მისი სარისხის გაზომვის სტატისტიკური მეთოდები	67
მნიშვნელოვანი მონოგრაფია	80
ინფორმაცია	82

C O N T E N T S

FROM EDITOR-IN-CHIEF	5
DEMOGRAPHY	
<i>Leo Chikava, Jamlet Janjghava</i> – Keen Demographic situation in Georgia and Measurement System of their Normalization	9
CENTRAL CAUCASIAN ECONOMICS	
<i>Eldar Ismailov</i> – On Correlation of Processes of Globalization and Regionalization in the Central Caucasus	16
GLOBAL FINANCIAL CRISIS	
<i>Davit Aptsiauri</i> – An Impact of the Global Financial Crisis of 2008-2009 on the US Economy (Some basic Trends, Statistical facts and Observations)	24
LABOUR RESOURCE MANAGEMENT	
<i>Nino Abesadze</i> – Gender Aspects of Employment in Georgia	29
<i>Darejan Sabashvili</i> – Some Issues of Labor Resource management	33
MICROECONOMICS	
<i>A. B. Matevosyan</i> – Balance Model of Financial Stability of Enterprise	36
<i>A. B. Matevosyan</i> – Problems of financial steadiness and stabilization of enterprise	42
AUDIT	
<i>Nugzar Tsomaia</i> – The improvement questions of the audit	47
ECONOMIC THEORY	
<i>Murman Kvaratskhelia</i> – Ilia Chavchavadze and Ivane Javakhishvili on Some Peculiarities of National Economy Formation	50
<i>Anzor Kuratashvili</i> – Legal Ways and Mechanisms of the Decision of Problems Socially Oriented Market Economy in the Conditions of the Pluralistic Society	59
<i>Nino Kuratashvili</i> – The Social-Economic Policy of the State and its Value in the Conditions of Formation Civilized market Relations	63
ECONOMIC STATISTICS	
<i>David Kbiladze, Nino Abesadze</i> – Business-information Reliability and Statistic Methods of Measuring its Quality	67
SIGNIFICANT MONOGRAPH	
INFORMATION	
	82

ობდაზურისაბან

2009 წლის გაზაფხული მუშაობის შედებების შესახებ

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გამოვიდა უურნალ “ეკონომისტის” პირველი ნომერი. თავიდანვე უნდა ითქას, რომ მან შესრულდა ის დანიშნულება, რასაც მას უკენებდა ინსტიტუტის კოლექტივი და უურნალის სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია. ეკონომისტთა სამეცნიერო და პრაქტიკული სფეროს წარმომადგენელთა მიერ იგი აღიარებულ იქნა, როგორც ერთ-ერთი მოწინავე სამეცნიერო-ანალიტიკური გამოცემა. უურნალ “ეკონომისტის” ფურცლებზე დაიძებდა არაერთი საინტერესო ნაშრომი, მისმა არსებობამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეკონომიკური მეცნიერების, ჩვენი ინსტიტუტის, როგორც სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების, პოპულარიზაციის საქმეში. მან უკვე დაიმსახურა, იყოს ღირსეული მემკვიდრე საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში დაარსებული უურნალ “ეკონომისტისა” (1918) და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის ინიციატივით დაფუძნებული უურნალ “საქართველოს ეკონომისტისა” (1958).

2009 წელი ჩვენი კოლექტივისათვის საიუბილეო წელი იყო. აღინიშნა ინსტიტუტის დაარსების 65 წლისთავი. ამ თარიღს ინსტიტუტმა არაერთი დონისძიება მიუძღვნა და საქმიანობა წარმატებით დაასრულა. ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი და ორგანიზაციული საქმიანობა ხორციელდებოდა ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების შესაბამისად და მიმართული იყო საქართველოში საბაზრო ურთიერთობების განმტკიცების გზებისა და მეთოდების ძიებისაქნ.

საანგარიშგებო პერიოდში სამეცნიერო პროგრამის – “პოსტგრადუნისტურ ქვეყნებში უმუშევრობის დონის შემცირების ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება და მისი პრაქტიკული რეალიზაციის მიმართულებებისა და გზების განსაზღვრა საქართველოში” (კოორდინატორი, ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე) – შესაბამისად უშამობა მიმდინარეობდა 9 სამეცნიერო პრობლემაზე:

1. უმუშევრობის ოეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფა პოსტგრადუნისტური ტრანსფორმაციის დონის (ხელმძღვანელი ინსტიტუტის კონიმიკური თეორიის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ. ალფრედ კურატაშვილი);
2. უმუშევრობის დონის შემცირების სახელმწიფო რეგულირების მექანიზმის სრულყოფა (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მაკროეკონომიკის განყოფილების გამგე, ემკ ნანული არეგაძე);
3. მეწარმების განვითარებისა და რეგიონული ფაქტორების გავლენა უმუშევრობის დონის შემცირებაზე (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მეწარმების განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკის განყოფილების გამგე, ემდ განმარტინ ბურდული);
4. ბიზნესგარემოს გაუმჯობესების გავლენა უმუშევრობის დონის შემცირებაზე (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილების გამგე, ემდ, პროფ. გიორგი ბერულაგა);
5. ინოვაციების როლი უმუშევრობის დონის შემცირებაში (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ინოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის განყოფილების გამგე, ემკ იზა ნათელაური, თანახელმძღვანელი ემკ ეთერ კაბულია);
6. საბაზრო კონკურენციის გაძლიერების როლი უმუშევრობის დონის შემცირებაში (ხელმძღვანელი ინსტიტუტის ინოვაციებისა და საერთაშორისო კონკურენციის განყოფილების გამგე, ემკ იზა ნათელაური, თანახელმძღვანელი ემკ ნაზირა კაბულია);

7. უმუშევრობის დონის შემცირების ძირითადი მიმართულებები საჯარო სექტორში (ხელმძღვანელი ინსტიტუტის საჯარო ეკონომიკის განყოფილების გამგე, ემპ თეა ლაზარაშვილი);
8. დამოკიდებულება მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და უმუშევრობის დონეს შორის (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მდგრადი ეკონომიკური განვითარების განყოფილების გამგე, ემპ მამუკა ხუსკიგაძე);
9. უმუშევრობის დონის შემცირების თავისებურებები და ძირითადი მიმართულებები სრულდად (ხელმძღვანელი ინსტიტუტის მეწარმეობის განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკის განყოფილების გამგე, ემდ გახტანგ ბურდული, აგრარულ პრობლემათა ლაბორატორიის გამგე, ემპ თენგიზ ქაგორაძე).

პროგრამის განხორციელების ძირითადი სამეცნიერო შედეგები მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- შემოთავაზებულია უმუშევრობის დონის შემცირების საფუძვლების სრულყოფის ზოგიერთი ორინიულ-მეთოდოლოგიური მიდგომა, კერძოდ, საზოგადოებრივ-სახელმწიფო სამსახურის სრულყოფის მიზნობრივი ფუნქციის გაძლიერებისა და მისი ინტელექტუალური ბაზისის სრულყოფის, ხალხის ინტერესების უზენაესობის განხორციელების აუცილებლობა და სხვ.;
- თანამედროვე მსოფლიო ფინანსური კრიზისის გენეზისის შესწავლის საფუძვლებულებები დადგენილია უმუშევრობის დონეზე აღნიშნული კრიზისის გავლენის თავისებურებები და შემოთავაზებულია კრიზისის შენელებისა და უმუშევრობის დონის შემცირების დონისძიებები;
- შემოთავაზებულია ისეთ ტერმინთა ახალი დეფინიციები, როგორიცაა: უმუშევრი; ეკონომიკური და არაეკონომიკური მოსახლეობა; ეკონომიკურად პასიური და ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა; უმუშევრობის დონე და უმუშევრობის ბუნებრივი დონე; უმუშევრობის დანაკარგებები;
- დაზუსტებულია კავშირი ეკონომიკურ ზრდასა და უმუშევრობის დონეს შორის, გამოოქმნილია მოსაზრებები უმუშევრობის აღრიცხვასთან დაკავშირებული სირთულეების დასაძლევად;
- დაზუსტებულია უმუშევრობის სახეები და განსაზღვრულია უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები საქართველოში.
- ნაჩვენებია, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში ეკონომიკის ზომბირების საშიშროება განსაკუთრებით ემუქრება პოსტკომუნისტურ ქვეყნებს, რადგან ამ შემთხვევაში ნეკროლეკონომიკის ზომბირებაც მოხდება, რაც პოსტკრიზისულ პერიოდში მნიშვნელოვანწილად გაართულებს ამ ქვეყნების ეკონომიკის გაჯანსაღების პროცესს.
- შემოთავაზებულია უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების აღმოფხვრის გზები საქართველოში.
- დადგენილია ბიზნესგარემოს გაუმჯობესების უმუშევრობის დონის შემცირებაზე გავლენის თეორიული ასპექტები. გამოვლენილია საქართველოში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების ხელის შემშლელი ორი დიდი ფაქტორი – საბაზო ნაკლოვანებები და სახელისუფლო ნაკლოვანებები, დასასიათებულია თითოეული ეს ფაქტორი და დასახულია ბიზნესგარემოს გაუმჯობესების გზები;
- შემოთავაზებულია საქართველოს რეალურ და მომსახურების სექტორში ინოვაციების განხორციელების ძირითადი მიმართულებები, რომელთაც მოჰყვება უმუშევრობის დონის შემცირება ქვეყანაში.
- შემოთავაზებულია საქართველოს ეკონომიკაში კონკურენტული გარემოს გაძლიერებისა და ქვეყნის კონკურენტულიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები უმუშევრობის შემცირებასთან კონტექსტში.

- შემუშავებულია ეკონომიკის განვითარების კოორდინაციის მექანიზმის სრულყოფის კონტურები იმ ძირითადი პირდაპირი და არაპირდაპირი და, ასევე, საერთო და სპეციალური ინსტრუმენტების გამოყოფით, რომლებიც ხელს უწყობენ უმუშევრობის დონის შემცირებას;
- გამოვლენილია საქართველოს ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში არსებული რეზერვები, რომელიც მიმართულია უმუშევრობის დონის შემცირებისაკენ;
- დადგენილია მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და უმუშევრობის დონის შემცირებას შორის კავშირი;
- შემოთავაზებულია სოფლად უმუშევართა აღრიცხვის მეთოდიკის სრულყოფის წინადაღებები და საქართველოს სასოფლო წარმოებაში ნაწილობრივი და ფარული უმუშევრობის შემცირების მიმართულებები და გზები.

ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ სააგგარიშგბო პერიოდში სულ გამოქვეყნდა 13 მონოგრაფია (2 საზღვარგარეთ), 137 სამეცნიერო სტატია (მათ შორის საზღვარგარეთ – 20, იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში – 4 (ავტორი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ემდ, პროფ. ვლადიმერ პაპაგა), საერთაშორისო კონფერენციათა მასალების კრებულებში – 20, ადგილობრივი კონფერენციების მასალათა კრებულებში – 32).

ადნიშნულ წელს გამოიცა “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის” მეორე ტომი, ასევე, ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული, ინსტიტუტის 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული.

2009 წელს ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომლები მონაწილეობდნენ 4 სამეცნიერო გრანტში (მათ შორის რუსთაველის ფონდის 1 და უცხოეთის 3 გრანტში).

გამოქვეყნდა 120-ზე მეტი საგაზეოო სტატია და ინტერვიუ;

დაარსდა აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის კაბინეტი;

მუშაობა დაიწყო ინსტიტუტთან არსებულმა სადისეკუსიო დარბაზმა (მოხდა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომლის, ემდ, პროფ. გიორგი პაპაგას მონოგრაფიის – “Методология познания качеств реалий смешанной рыночной экономики и паралогизмы” განხილვა);

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ (თავმჯდომარე პროფ. თინა ჩხეიძე, მოადგილები: ემპ ნანა ბიბილაშვილი, ემპ თეა ლაზარაშვილი, სწავლული მდივანი ემპ ლინა დათვანაშვილი) ჩაატარა ინსტიტუტის სამეცნიერო ერთეულთა ხელმძღვანელების არჩევნები. საბჭოს სხდომებზე განიხილებოდა ინსტიტუტის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა, მოსმენილ იქნა 6 სამეცნიერო მოხსენება და სხვ.

დირექტიის მიერ შექმნილმა კომისიამ (ემდ, პროფ. იური ანანიაშვილი (თავმჯდომარე), ზურაბ წერეთელი (პასუხისმგებელი პირი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), ემდ, პროფ. კლიმენტი აჩელაშვილი, ემდ, პროფ. თემიშვილ ბერიძე, ემდ, პროფ. იაკობ მესხია, ემდ, პროფ. ელეგუჯა მექაბიშვილი, აკადემიური დოქტორი მარინა მუხიაშვილი) ჩაატარა ინსტიტუტის კონკურსი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად.

ნაყოფიერ საქმიანობას ეწეოდნენ “ინფორმაციისა და ეკონომიკური ანალიზის” (ემპ ნანა ბიბილაშვილი), “პერსონალის მართვის” (თეა შონია) და “საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის” (თეა გაბელაია) სამსახურები, ინსტიტუტის გამოცემლობა (ხელმძღვანელი ნატო ჩხაიძე-აბესაძე, მთავარი რედაქტორი სესილი ხანჯალაძე) და ბიბლიოთეკა (ელენე დათუგაშვილი). ფუნქციონირება დაიწყო “სასწავლო და საკონსულტაციო-საექსპერტო ცენტრისა”.

აქტიურ საქმიანობას ეწეოდა ინსტიტუტის ბუღალტერია (მაია ჭინჭარაული), კანცელარია (ეთერი ჯაბანაშვილი), “სამეცნიერო, სარემონტო-საგას-პლუატაციო და დაცვის სამსახური” (თამაზ გველესიანი).

ინსტიტუტი აგრძელებდა სამეცნიერო კავშირებს საზღვარგარეთისა და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებასთან;

2010 წელიც ინსტიტუტისათვის საიუბილეოა – სრულდება ინსტიტუტის დამაარსებლის, აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105 წლისთავი. ამ თარიღს მიეძღვნება მრავალი ღონისძიება, მათ შორის, **საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია** და ინსტიტუტის დირექტორისა და სამეცნიერო საბჭოს ერთობლივი **საიუბილეო სხდომა**.

განსაკუთრებით გამოყოფილი იმ ფაქტს, რომ ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა “**დიდი ქართული ეგონომიკური ენციკლოპედიის**” მოსამზადებლად და გამოსაცემად. დაარსდა შესაბამისი მთავარი რედაქცია (მთავარი რედაქტორი, ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე) და დარგობრივი რედაქციები. გამოვთქვამ დრმა რწმენას, რომ ინსტიტუტის კოლექტივი, საქართველოს მეცნიერ-ეკონომისტებსა და ბიზნესმენებთან ერთად, თავს გაართმევს ამ მნიშვნელოვანი ეროვნული საქმის განხორციელებას.

დასასრულ, მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მონაწილეობას იღებდა და იღებს ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობაში, განსაკუთრებით მათ, ვინც ჩვენი თანამშრომელი არ არის, მაგრამ თავიანთი თანადგომით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ინსტიტუტის მიღწევებში. გვწამს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომისტთა ერთიანი ძალისხმევით მრავალი მნიშვნელოვანი საქმე გაკვთდება.

რამაზ აბესაძე

დემობრაზია

ლეთ ჩიქაგი

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდენტი, მეცნ. დამსახ. მოღვაწე,
ეძღვ, პროფესორი
ჯამლებ ჯანჯლაგა
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

მოვალე დემობრაზიული გითარება საქართველოში და მისი ნორმალიზების დონისძიებათა სისტემა

დემოგრაფიული კითარება ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია, რაც უარესდებოდა, მაგრამ აშკარა კრიზისში იგი გასული საუბანის 90-იანი წლებში არაორდინარულ გარემოებათა კვალობაზე გადაიზარდა. 1960-2009 წლებში [1] შობადობის ჯამური კოეფიციენტი 2-ჯერ, ხოლო ზოგადი კოეფიციენტი 2,2-ჯერ შემცირდა. XX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ყოველწლიურად საშუალოდ 100 ათასზე მეტი ბავშვი იბადებოდა, ამჟამად კი 50 ათასზე ნაკლები იბადება. მწვავედ დგას არა მარტო მესამე და მომდევნო, არამედ მეორე შეიძლის გაჩენის პრობლემაც. არცთუ იშვიათად, მეტწილად დევნილთა და ლტოლვილთა შორის, განუსაზღვრელი ვადით ხდება გადავადება ოვით პირველი შეიძლის გაჩენისა და შეუდლების აქტისაც კი. დაბადებულ ბავშვთა 87,5 პროცენტი [2,6] პირველ და მეორე შეიძლება მოდის, რაც მცირეშვილიანობის მომრავლებაზე მიგვანიშნებს. ფერტილური ასაკის მოსახლეობის 25 პროცენტი დაუქორწინებელია, ხოლო 10 პროცენტი – ქვრივი.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა ასეთ სურათს იძლევა: დეპოპულაციას, ანუ მოსახლეობის ბუნებრივ აბსოლუტურ კლებას აქვს ადგილი ქვეყნის ქართული ეთნოსით კომაქტურად დასახლებულ ყველა რეგიონში (თბილისი, რაჭა-ლეჩხეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, კახეთი, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი), გარდა აჭარისა, რომელშიც რელიგიური ფაქტორის გავლენით რამდენადმე განსხვავებული მდგომარეობაა. მოსახლეობის ბუნებრივი მატების საქართველოზე უფრო დაბალი მაჩვენებელი მოქლი აზიის კონტინენტზე მხოლოდ იაპონიას აქვს.

დეფორმირებულია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა. 15 წლამდელი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წონა 17,1 პროცენტს შეადგენს, ხოლო 65 წლის და უცუცესი ასაკის მოსახლეობისა 15 პროცენტს აღემატება, მაშინ როდესაც, გაეროს ექსპერტთა კლასიფიკაციით, დემოგრაფიული სიბერის ზღვრად 7 პროცენტი ითვლება. პროგნოზული გათვლებით, დემოგრაფიული დაბერების მაჩვენებილი 2050 წლისთვის გაორმაგდება, რაც ვითარებას კიდევ უფრო დააბავს.

დემოგრაფიული კრიზისის ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს შორის აღსანიშნავია:

1. მომავალში (თუმცა შორეულ პერსპექტივაში) ქვეყნის გენოფონდის გადაშენების რეალური საშიშროება. მსოფლიოს მოსახლეობის ბიუროს (გაშინგრინი) პროგნოზული გათვლებით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა, 1989 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, თოთქმის 2 მილიონი კაცით შემცირდება და 3,5 მილიონამდე ჩამოვა. შემცირების ამაზე ღდნავ გადამეტებული ტემპები ნავარაუდებია მხოლოდ იაპონიასა და მოლდოვაში;

2. სამხრეთ კავკასიის მოსახლეობაში საქართველოს მოსახლეობის (ძირითადად ქართველების) ხვედრითი წონის მკეთრად შემცირება. იმის გამო, რომ 2009-2050 წლებში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 24 პუნქტით შემცირდება, ხოლო სომხეთის 6,5 პროცენტით და აზერბაიჯანის 31,8 პროცენტით გაიზრდება, აზერბაიჯანის ხვედრითი წონა მიაღწევს 63 პროცენტს, სომხეთის – თითქმის უცვლელი დარჩება, საქართველოს კი დაიკლებს 19 პროცენტამდე, მაშინ როდესაც ეს სტრუქტურა 1960 წელს ახორნირად გამოიყურებოდა: აზერბაიჯანი – 39,2, სომხეთი – 18,6, საქართველო – 42,2, კი. საქართველოს ხვედრითი წონა შემცირდება 23,2 პროცენტული პუნქტით;
3. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გარემოგრაციულ პროცესს, შორეულ პერსპექტივაში საქართველოს ავტოქტონურ (ქართულ) ეთნოსს თავისივე ისტორიული სამშობლოს მოსახლეობის რიცხოვნობაში ხვედრითი წონის მკეთრად შემცირების საშიშროებას უქმნის, მთელ რიგ არააბორიგენ ეთნოსებთან შედარებით, მისი დაბალი დემოგრაფიული ქვევა. ასე მაგალითად, 2005 წ. მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნოსებიდან, ყოველ 10 ათას კაცზე გაანგარიშებით, ქართველებს აკლდებათ 3, ხოლო აზერბაიჯანელებს ემატებათ 117 და ქურთებს – 179 [2, გვ. 23]. ადამიანი, რაც, რელიგიურ ფაქტორთან ერთად, ძირითადად, მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპზე ქართული ეთნოსის უფრო ადრეულ ეტაპზე გადასვლითა და ბავშვთა შობის შიგა ოჯახური რეგულირებით აისხება;
4. მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის დეფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანწილად აპირობებს როგორც შრომით რესურსებზე მოთხოვნასა და მათ ფაქტობრივ მიწოდებას, ისე საქორწინო სუბიექტთა შორის დისბალანსს;
5. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციასთან დაკავშირებით, შრომისუნარიანთა (მათ შორის და განსაკუთრებით ფაქტობრივად მომუშავეთა) სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის მკვეთრად ამაღლება, რაც თაობათა შორის დაპირისპირების საფუძველს ქმნის;
6. შრომისუნარიან ასაკში მოქვდაობისა და გარე მიგრაციის ინტენსიური ზრდის გამო ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის არასრულად გამოყენება და უწარმოებელი მთლიანი შიგა პროდუქტის ოდენობის გადიდება.

ესოდენ როგორც დემოგრაფიული ვითარების არსებობის მიუხედავად, ჩვენს ქვეყანაში არა მარტო არ ტარდება, რეგიონულ თავისებურებათა გათვალისწინებით, მეცნიერულად დასაბუთებული სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკა, არამედ რიგიანად მოვიქრებულიც არ არის. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ დემოგრაფიულ პოლიტიკას, როგორი მასშტაბური და სისტემური ხასიათისაც უნდა იყოს იგი, შეუძლია კარდინალურად შეცვალოს დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და 180°-ით შემოაბრუნოს ის პოზიტიური მიმართულებებით, მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკის დროული და გონივრული გატარებითა და მართვის სრულყოფილი მექანიზმის გამოყენებით, გარკვეულწილად შეიძლება დემოგრაფიული კრიზისის გადრმავების შეჩერება და არსებული სიტუაციის რამდენადმე ხორმალიზება, რასაც ადასტურებს მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პრაქტიკა.

საქართველოში დემოგრაფიული ვითარებისა და ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, მიზანშეწონი-

ლად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება იმ ღონისძიებებზე, რომელთაც ძალუმთ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა ამ კეთილშობილური მიზნის ხორც-შესხმაში. მსედველობაში გვაქვს ხელისუფლების ძალისხმევის წარმართვა სამი ძირითადი მიმართულებით [3, გვ. 514-523]:

1. ოჯახში ოპტიმალური ოდენობით ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ფორმირება და შესაბამისი რეპროდუქტიული განწყობისა და ქცევის ჩამოყალიბება. ეს შობადობის ოპტიმიზაციის ყველაზე უფერიანი მიმართულებაა, მაგრამ შედეგი შედარებით მოგვიახებით იჩენს თავს.

ამისათვის მიზანშეწონილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საშუალო სკეციალური და უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამებში დამოგრაფიული პროფილის დისკიპლინის (მაგალითად, „დემოგრაფიის საფუძვლების“) და კარგად შერჩეული დიდაქტიკური მასალების შეტანა, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლე ახალგაზრიბაში შვილთა სასურველი რაოდენობის ფორმირებას და ამ მიმართულებით დადებითი რეპროდუქტიული განწყობის ჩამოყალიბებას. სასარგებლო ღონისძიებად უნდა იქნეს მიწნეული, აგრეთვე, რადიო და ტელეგადაცემებში, ინტერნეტში, კინოფილმებში, თეატრალურ დადგმებში, რეკლამებში, მხატვრულ და სპეციალურ ლიტერატურაში, პერიოდულ პრესაში, მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში ამ პრობლემისადმი მიძღვნილი თემატიკის წინა პლანზე წამოწევა;

2. ბავშვთა ყოლის ჩამოყალიბებული მოთხოვნილების – შვილთა სასურველი რაოდენობის პრაქტიკული რეალიზაცია. ეს არანაკლებ რთული პრობლემაა, რამდენადაც ოჯახში შვილთა ფაქტობრივად არსებული და რეალურად მოსალოდნელი საშუალო რაოდენობა სულ უფრო მკვეთრად ჩამორჩება მათ სასურველ რაოდენობას (მიუხედავად ამ უკანასკნელის შემცირების ტენდენციას).

იმ კონკრეტულ ღონისძიებათა შორის, რომელთაც ძალუმთ ოჯახში შვილთა ფაქტობრივად არსებული და რეალურად მოსალოდნელი რიცხოვნობის სასურველ რაოდენობასთან მიახლოება, აღსანიშნავია:

– მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდების მატერიალური სტიმულირება, რომელ შიც, უწინარეს ყოვლისა, შობადობის გაზრდისთვის სახელმწიფოს მხრივ ერთჯერადი და ყოველთვიური ფულადი დაბმრების დაწესება იგულისხმება. თუმცა, მატერიალურ სტიმულირებამდე, აუცილებელია, ყველგან და ყოველთვის დავიცვათ პრინციპი: „შვილის შეძენით გამოწვეულმა ხარჯებმა არ უნდა შეამციროს შემოსავალი ოჯახის თითოეულ წევრზე გაანგარიშებით“. ასეთი შედეგის მისაღწევად საჭიროა, დახმარების თანხა შეესაბამებოდეს ახალ შობილის შენახვის ხარჯებს. მაგრამ ეს იქნება ქვედა ზღვარი. ამის შემდეგ, შობადობის მატერიალური სტიმულირების მიზნით, მიზანშეწონილია ერთჯერადი და ყოველთვიური დიფერენცირებული დახმარების დაწესება შვილების შეძენის რიგითობის მიხედვით. მთავარი ვექტორი მესამე შვილის ყოლაზე უნდა მიემართოთ, რადგან, ჩვენს დღევანდელ პირობებში, ოპტიმალურად სამშვილიან ოჯახს ვაღიარებთ. სკალა (ლარებში) დაახლოებით ასე წარმოგვიდგნია:

დახმარების ოდენობა (ლარებში)

	პირველ შვილზე	მეორე შვილზე	მესამე შვილზე	მეოთხე და მომდევნო შვილზე
ერთჯერადი	700	900	1200	700
ყოველთვიური დანამატი	60	80	130	60
დასაქმებული ერთ-ერთი მშობლის ხელფასზე				

ქვეყნის კონომიკური განვითარების დონის ამაღლების შესაბამისად, ეს სიდიდეები შეიძლება და საჭიროცაა გადაისინჯოს (დაზუსტდეს), მაგრამ მთავარია შევინარჩუნოთ მეორე, განსაკუთრებით კი მესამე შვილის ყოლის სტიმულირების პრინციპი.

შობადობის სტიმულირებისთვის დახმარების დაწესებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ოჯახის შემოსავალიც. თუ ოჯახში, თითოეულ წევრზე გაანგარიშებით, შემოსავალი ნაკლებია ქვეყანაში ოფიციალურად დადგენილ საარსებო მინიმუმზე, მეორე და მესამე შვილის შემქნისას, ყოველთვიური დახმარების თანხა (ბავშვის დედას ან მამას) უნდა დაუწესდეს ისეთი ოდენობით, რომ ოჯახის წევრთა შემოსავალი გაუტოლდეს საარსებო მინიმუმს. სასურველია, ამგარი წახალისება გაგრძელდეს მანამ, სანამ ეს ახალშობილები 16 წლის ასაგეს მიაღწევენ. იმ შემთხვევაში კი, როცა ოჯახის წევრთა შემოსავალი აღმატება საარსებო მინიმუმს, შვილის შემქნისთვის მატერიალური წახალისება შეიძლება შემოიფარგლოს (ყოველ შემთხვევაში განვითარების დღვევანდელ ეტაპზე) ერთჯერადი დახმარებით;

— როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვნა, შობადობაზე უარყოფითად მოქმედ სუბიექტურ ფაქტორთა შორის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილზე, აგრეთვე, ახალგაზრდა ოჯახების უბინაობა და საცხოვრებელი ფართოთ დაუკმაყოფილებლობა. აი რატომ უნდა მიექცეს ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება.

მიზანშეწინილად მიგვაჩნია, მძიმე საბინაო პირობებში მყოფ ოჯახებს, მათი სურვილის გათვალისწინებით, ბინაოთმშენებლობისთვის სახელმწიფო მეორე შვილის შემქნისას გამოყენოს გრძელვადიანი უპროცესტო კრედიტი, მესამე შვილის გაჩენის შემთხვევაში სესხის დასაბრუნებლად დარჩენილი ნაწილის 50 პროცენტის გადახდისგან გათავისუფლების პირობით;

ყოველივე ეს უნდა დაფიქსირდეს შესაბამისი კანონმდებლობით და მართებული იქნება შექმნის როგორც სახელმწიფო და კომერციულ, ისე კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს თითოეული სექტორის თავისებურების გათვალისწინებით;

— სახელმწიფო საწარმოებში, აგრეთვე საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მომუშავე მანდილოსნებისათვის მესამე და მომდევნო შვილების გაჩენისას იმის უფლების მინიჭება, რომ ისარგებლონ სამწლიანი დეპრეციული შვებულებით, სამუშაო აღილისა და კუთვნილი მირითადი ხელფასის შენარჩუნებით;

— ოჯახებისთვის, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შვილს, კომუნალური მომსახურების გადასახადების 30 პროცენტით შემცირება მანამ, სანამ ყველაზე უმცროსი შვილი 16 წელს მიაღწევს;

— მესამე შვილის გაჩენისთვის ზემოაღნიშნულ სტიმულირებათა პირველ ეტაპზე იმ რეგიონებში განხორციელება, სადაც შობადობის ზოგადი კოეფიციენტი, უკანასკნელი ხეთი წლის მონაცემებით, ჩამორჩება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს;

— ქმედითი ზომების მიღება ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის უმუშევარი პირების საეციალობის მიხედვით დასაქმებისა და უმუშევრობის ბუნებრივ დონემდე დაყვანისთვის, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს ახალგაზრდების გარე მიგრაციას;

— შესაბამისი კანონის მიღება იმის თაობაზე, რომ დედებს, რომლებიც ზრდიან სამ და მეტ შეიღს, მოთხოვნისამებრ, ნება დაერთოთ, რომ ისარგებლონ შეკვეცილი სამუშაო დღით ან შეკვეცილი სამუშაო კვირით, მცოცავი გრაფიკით, შვებულება და პენსიაზე გასვლის ასაკი განისაზღვროს შეიღების ოდენობის გათვალისწინებით, მიეცეთ შინ მუშაობის უფლება და სხვა შესაძლო შედაგობები;

— ქალთა გამოთავისუფლება ორგანიზმისთვის მაგნე და მძიმე ფიზიკური სამუშაოებიდან, აგრეთვე, დამის ცვლებიდან; საეციალური სამუშაო აღგილების, უბნებისა და საამქროების განსაზღვრა ორსული ქალების შრომითი მოწყობისთვის; მათვის ისეთი შრომისა და საოჯახო-საყოფაცხოვრებო ხელსაყრელი პირობების შექმნა, რომელიც დედობისა და პროფესიული საქმიანობის რაციონალური შეთანაწყობის შესაძლებლობას მისცემს;

— ქვეყნის თითოეული რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარებისათვის დამახასიათებელი ტენდენციების მაქსიმალური გათვალისწინებით, ახალი სოციალურ-დემოგრაფიული დარაიონება და თითოეული რაიონის დემოგრაფიული განვითარების პროგრამის შემუშავება;

— მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი დემოგრაფიული კადრების მომზადებისა და გადამზადების მიზნით, ყოველწლიურად პერსპექტიული ახალგაზრდების განსაზღვრული კონტინგენტის საზღვარგარეულ მისავლისწინებლად სათანადო სახსრების გამოხახვა;

— პაციენტთა, განსაკუთრებით ჩვილ ბავშვთა, ჯანმრთელობისათვის ზრუნვა, სამედიცინო დაწესებულებების (საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ამბულატორიები) მნიშვნელოვანი ნაწილის, აგრეთვე, სამშობიარო სახლების ძირითადად სახელმწიფო საკუთრებაში დატოვება, რათა უფასო სამედიცინო დახმარება გაეწიოს საზოგადოების სოციალურად ყველაზე დაუცველ ნაწილს. ამასთან, მოსახლეობის თვითშენახვითი ქცევის დონის ამაღლება, რომელიც, რიგ სხვა ეთნოსთან შედარებით, რამდენადმე დაბალია ქართველებში;

— შობადობის გადიდებაში გარკვეული დადებითი წელილის შეტანა შეუძლია ეკლესიასაც, რადგან, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მას ძალუბს განუმტკიცოს რწმენა ახალგაზრდობას (და არა მარტო მათ) იმის თაობაზე, რომ ქართველი ერის ფიზიკური უწყვეტობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია ოჯახის დროული შექმნა (დაქორწინება), ოჯახში ბავშვთა ოპტიმალური ოდენობით ყოლა და დირსეული ახალი თაობის აღზრდა;

3. ქმედით ღონისძიებათა განხორციელება მოსახლეობის გენოფონდის გამანადგურებელი სოციალური ანომალიების (ნარკომანია, პროსტიტუცია, პომოსექსუალიზმი, ლოთობა, სიგარეტის წევა გოგონებში და სხვ.) ნეგატიური ტენდენციების წინააღმდეგ, რადგან ასეთი ნეგატიური ტენდენციები ხელს უწყობს არა მარტო შობადობის კლებას, არამედ არაჯანმრთელი (სნეული) ბავშვების გაჩენასაც.

დასასრულ, გვინდა გამოვთქვათ მოსაზრებები ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა ფინანსური უზრუნველყოფის თაობაზე. მართალია, ქვეყნის ეკონომიკა გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული (განსაკუთრებით მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის პირობებში) დიდ სიძრელეებს განიცდის და ამის გამო ჯერჯერობით ვერ შესძლებს დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად თახების საკმაო რაოდენობით გამოყოფას, მაგრამ, პრობლემის

უადრესი პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, სახსრები გარკვეული ოდენობით მაინც შეიძლება გამოიძებნოს და უნდა გამოიძებნოს კიდევ:

მიზანშეწონილია შეიქმნას დემოგრაფიული განვითარების ფონდი, რომლის სავარაუდო წყაროები შეიძლება იყოს:

— სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები. ამ დანიშნულებით ცენტრალური ბიუჯეტიდან მისი შემოსავლის თუნდაც 0,5 პროცენტი რომ გამოიყოს (7 მილიარდი ბიუჯეტის პირობებში) იგი 35 მლნ ლარს შეადგენს, რაც ფრიად სოლიდური თანხაა;

— უშვილობის გადასახადი 25 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის ხელფასის 1 პროცენტის ოდენობით, თუკი ხელფასი აღმატება საშუალო მომსახურებლის საარსებო მინიმუმს;

— ავტომობილების ყიდვა-გაყიდვისას მათ გადაფორმებაზე დაწესებულ ტარიფზე ფიქსირებული დანამატი 5 ლარის ოდენობით, რაც ქვენის მასშტაბით სოლიდურ თანხას შეადგენს;

— ბენზინის, სიგარეტის, ალკოჰოლური სასმელების, კოსმეტიკის საშუალებების, კაზინოების, ლატარიების, სპორტული ღონისძიებების და სხვა ანალოგიური კატეგორიის საქონლისა და მომსახურების საცალო ფასებსა და ტარიფებზე დანამატი 1 პროცენტის ოდენობით;

— სპეციალურად ამ დანიშნულებით, გადასახადი ფირმის მოგებიდან წლიური ბრუნვის 2 პროცენტის ოდენობით;

— იმპორტული საქონლის საბაჟო გადასახადებზე დანამატი ამ საქონლის საბითუმო ფასის 1 პროცენტის ოდენობით;

— დემოგრაფიული ანარიცხები ხელფასიდან: ეს უკანასკნელი საშუალო მომსახურებლის საარსებო მინიმუმს თუ 2-3-ჯერ აღმატება 1 პროცენტის ოდენობით, თუ 4-5-ჯერ – 2 პროცენტის ოდენობით, თუ 6-ჯერ და უფრო მეტად – 3 პროცენტის ოდენობით და ა.შ.

ეს განაკვეთები მიახლოებითია, რომელთა დაკონკრეტება-დაზუსტება შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს არ გაუჭირდება. მთავარია, პრინციპულ საკითხებზე ჩამოყალიბდეს ერთიანი აზრი.

ჩვენი ღრმა რწმენით, ამგვარი მიდგომით შემუშავებულ და მიზანმიმართულად გატარებულ სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას თვალსაჩინო წვლილის შეტანა შეუძლია მოსახლეობის გამრავლების ნეგატიური მოვლენების განმსაზღვრელი მთელი რიგი მიზეზების აღმოფხვრასა და ვითარების ხორმალიზებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 2009 წლის მონაცემები მოყვანილია წყაროდან: 2009 World Population Data Sheet Population Bureau. Washington, 2009.
2. ბ. წელაძე, ბ. მადლაფერიძე, ა. ვადაჭვორია. საქართველოს დემოგრაფიული წელიწელები – 2008, თბილისი, 2009.
3. ლ. ჩიქავა, დემოლოგია და მისი კანონთა სისტემა, თბილისი, 2008.

Leo Chikava

President of the Academy of Economic Sciences

of Georgia Honored Scientist

Jamlet Janjgava

Academic Doctor of Economics

KEEN DEMOGRAPHIC SITUATION IN GEORGIA AND MEASUREMENT SYSTEM OF THEIR NORMALIZATION

Summary

Demographic situation in Georgia is so keen that the demographic crisis is evidently felt. All regions of our country compactly populated by Georgian ethnos are subjected to depopulation except Adjara where there is somewhat different situation because of religious factor.

Among the measures to normalize demographic situation should be noticed: first, the formation of demand to have optimal quantity of children in the family and adequate reproductive sets and behaviour; second, practical realization of formed demand to have a child – desirable quantity of children, third – the realization of effective measures against negative tendencies of social anomalies destructing genofund of the population.

СЕБულაЦИЯ კავკასიის გეოეკონომიკა

Исмаилов Эльдар
к.э.н., доцент, директор Института
стратегических исследований Кавказа

О СООТНОШЕНИИ ПРОЦЕССОВ ГЛОБАЛИЗАЦИИ И РЕГИОНАЛИЗАЦИИ НА ЦЕНТРАЛЬНОМ КАВКАЗЕ

Глобализация и регионализация. Анализ геистории Кавказа показывает, что социально-экономическое пространство этого региона на различных этапах своей эволюции выполняло как geopolитические, так и геоэкономические функции. Соотношение между ними менялось в зависимости от стадии исторического развития: если в годы полной зависимости, т.е. будучи в составе той или иной империи, весь Кавказ или отдельные его части не могли выполнять никаких геофункций, то в периоды разной степени зависимости осуществлялась та или иная геофункция, а на этапе независимости выполнялись обе вышенназванные функции вместе.

Так, когда регион был соответственно составной частью России и СССР, он не мог выполнять ни geopolитическую, ни геоэкономическую функции. В настоящее время, с обретением странами Центрального Кавказа¹ независимости, обе вышенназванные его функции возрождаются. При этом следует отметить, что на данном этапе, на наш взгляд, необходимо более интенсивно развивать геоэкономическую функцию региона.

Однако geopolитические пристрастия (вкупе с чрезмерным увлечением национальной идеей) на Центральном Кавказе все еще оказывают сильное влияние на формирование и развитие геоэкономической функции, что, в свою очередь, предполагает активный поиск и выработку новой четкой и сбалансированной геоэкономической стратегии. В этой связи в XXI в. сами страны Центрального Кавказа должны, прежде всего, стремиться к тому, чтобы в регионе главенствовали геоэкономические, а не geopolитические функции. Если регион начнет, наконец, сбалансированно выполнять свою геоэкономическую функцию в планетарном масштабе и сможет последовательно развивать ее, то это позволит в дальнейшем выработать и выполнить согласованную geopolитическую функцию, отчего выигрывают как страны региона, так и в целом мировая экономика. Только усилив преимущественно геоэкономическую функцию, Кавказ может стать единой, целостной и эффективной функциональной составляющей глобализирующегося мира.

Всемирная история представляет собой бесконечную череду, «калейдоскоп» изменений, когда пространство и насыщающие его компоненты (политические, экономические, социальные, силовые и т.д.) «прижимаются» к конкретно-определенным географическим ориентирам-границам. В конечном счете появляются новые ориентиры, обновляется прежнее пространство, с распадом одних государств/империй возникают другие, с иным обликом. Но, несмотря на все подобные политические трансформации, тенденции развития мировой экономики всегда ориентированы на вовлечение и установление эффективных взаимосвязей между ее субъектами, т.е. на формирование единой глобальной экономической системы. Это в полной мере находит свое проявление и на современном этапе развития человечества. Действие центростремительных сил в мире резко усилилось во второй половине XX столетия, что нашло свое отражение в таких процессах, как регионализация и глобализация, создание интеграционных межстранных союзов на всех континентах.

Действительно, мировая экономика сейчас представляет собой интегрирующуюся в единое целое, динамичную, постоянно меняющуюся и неравномерно развивающуюся структуру, которая состоит примерно из 200 национально-государственных образований. Взаимосвязи и взаимозависимость между ними асимметричны: различные группы стран, возмож-

¹ В состав Центрального Кавказа входят Азербайджан, Армения и Грузия. Подробнее о понятии «Центральный Кавказ» см. [1, с. 290-295; 2, с. 17-21].

ности которых существенно дифференцированы, вовлечены в мировые интеграционные процессы в неодинаковой степени. В то же время бесспорно то, что ни одна страна уже не способна эффективно существовать и обеспечивать динамичную жизнедеятельность в условиях экономической автарки.

После распада социалистической системы и СССР страны, входившие в эти межгосударственные образования, в ходе формирования и развития своих национальных экономик столкнулись со сложными проблемами адаптации к стремительно меняющимся условиям мировой экономики. И в самом деле, никогда не ощущавшие себя в составе Российской и Советской империй самостоятельными участниками глобальной системы, они тем самым не могли быть готовы к роли полноценного мирового игрока, самостоятельно предохраняющегося от возможных неблагоприятных воздействий, новых глобальных вызовов и угроз. Именно поэтому нужна такая «адаптирующаяся», поисковая экономическая стратегия, которая позволяла бы каждой стране в рамках регионального развития своевременно перестраиваться и сбалансированно развиваться, так как мировая экономическая система не механическая сумма национальных экономик, а целостная, самодостаточная, саморазвивающаяся «популяция» с собственными геоэкономическими и геофинансовыми законами, т.е. подвижная экономико-финансовая глобальная структура.

Новая эпоха в формировании региональных союзов во всемирной экономике началась с распада социалистической интеграционной системы СЭВ, и в первую очередь ее организатора и силовой опоры – СССР. Исчезновение противоположных тенденций развития двух субглобальных интеграционных образований – капитализма и социализма – в конечном счете дало толчок рождению кардинально новых закономерностей глобальной и региональной интеграции. В результате этого в качестве основополагающего принципа мировых интеграционных процессов вместо политico-идеологической необходимости активно утверждается социально-экономическая целесообразность.

Анализ интеграционных процессов на постсоветском пространстве показал, что в региональных интеграционных образованиях, созданных на социально-экономических принципах, участвуют все кавказские государства. Все региональные образования, в которых состоят эти государства, можно считать перспективно-стратегическими, дополняющими и ускоряющими процесс их развития. Приоритетной же, жизненно необходимой, позволяющей в наибольшей степени реализовать национальные интересы последних, является кавказская интеграция, естественность и неизбежность которой предопределила предшествующая историческая эволюция [3, с. 51-53]. Во внутrikавказских региональных интеграционных процессах заинтересованы не только сами государства Кавказа, но и мировое сообщество в целом, так как только интегрированный, свободный от внутренних конфликтов Кавказ способен эффективно выполнять свою планетарную функцию экономического моста, соединяющего Запад и Восток, а также Север и Юг, и тем самым содействовать процессу глобализации.

Уже в конце 80-х гг. XX столетия начали проявляться признаки значительной региональной активности. Ее основными стимулирующими факторами стали функциональные изменения в экономике в сочетании с новыми формами политической мобилизации и пересмотра социального и экономического значения территории. При этом отчетливо просматривался меняющийся контекст, который задавался не только, как прежде – при «старом регионализме»², – государством, но и трансформирующими международным рынком и возникающими режимами.

Дело в том, что в условиях разворачивающегося пространственного планирования прекрасно вписывающийся в данный процесс регионализм не мог более контролироваться изживающими себя механизмами территориального размещения и обмена. Государство само модифицировалось, и в ходе этого оно в значительной мере утратило свою прежнюю способность контролировать пространственные изменения и развитие. Властные функции госу-

² Об основных чертах «старого регионализма» см. [2, с.147].

дарства, его авторитет «размывались» под воздействием трех векторов: интернационализации («сверху»), региональными и местными притязаниями («снизу») и развитием рыночного и гражданского общества («со стороны»). В результате ослабилась роль государства в руководстве экономикой, социальном развитии, институциональной структуре, культуре и т.д.

В такой последовательности и стали возникать элементы современного регионализма, отмеченного выходом за рамки национального государства, усилением конкурентной борьбы в национальном разделении труда, стремлением к переменам и отсутствием строгой приверженности традициям. Тем не менее, несмотря на принципиальные различия, «старый» и «новый» регионализм продолжают существовать в нелегком сотрудничестве, «отыскивая» новый синтез всеобщего и особенного [4].

«Новый регионализм». Международным отношениям конца XX – начала XXI в. присущ характер «нового регионализма»³. Идеи, которые он формулирует, являются сегодня основой общественно-политической жизни практически во всех странах и континентах мира. Значимость данного феномена резко возросла после распада мировой социалистической системы.

«Новый регионализм» основан на выборе отдельных торговых партнеров и подлежащих открытию секторов экономики. Он способствует использованию ряда двусторонних соглашений с целью формирования стратегических торговых отношений на преференциальных условиях с важными рынками – вне зависимости от их месторасположения. Понимаемый как комплексный социально-политический и экономический феномен, «новый регионализм» транснационален по своему характеру. Для его природы в современных условиях характерна интегративность: субнациональные единицы, которым по целому ряду причин становится тесно в рамках собственной страны, так или иначе начинают искать себе место в более широком геополитическом и геоэкономическом пространстве. По-новому закрепляя свои отношения с «материнским» государством, эти единицы одновременно налаживают более сложные отношения с соседними территориями. Складывающаяся в результате этого новая георегиональная картина мира представляет собой комбинацию транснациональных альянсов разной степени сплоченности и формализации. Подобный расклад, в свою очередь, обуславливает значительный научный интерес к анализу данного относительно нового явления и подталкивает к переосмыслению многих концепций современных международных отношений⁴.

Транснациональный характер «нового регионализма» ставит принципиальные вопросы об адаптации государственных структур к эпохе глобализации и взаимозависимости. Он носит либеральный характер и пытается сделать менее значимыми различия между «инсайдерами» и «аутсайдерами». Его можно трактовать как инструмент, с помощью которого некоторые страны, географически удаленные от центров принятия решений, избегают потенциального превращения в социально-культурную и политическую периферию. В некоторых случаях имеет место «мягкое» разделение сфер влияния между рядом стран, каждая из которых в свое время инициировала формирование того или иного регионального союза.

Этот «новый регионализм», который ни в коем случае нельзя отождествлять с «переработанной» версией торгового протекционизма и региональных экономических блоков, приобретает на нынешнем этапе реализации мирохозяйственных процессов массовый характер.

«Новый регионализм» основывается на связи между регионом и международным (в том числе европейским, азиатским и т.п.) порядком, причем регионы стремятся найти свое место в государстве, на континенте и международных рынках. В этом смысле он вполне совместим с глобализацией (так как создает стимулы для участия стран и регионов в процессах интеграции), а точнее, с ее локальным вариантом, альтернативным общемировому механизму

³ О трактовках феномена современного регионализма различными научными школами, изучающими международные отношения, см. [5, с. 6-7].

⁴ Данная тенденция к изучению региональных проблем, усиление которой наблюдалось в 90-е гг. ХХ в., получила название «второй волны» международного регионализма.

либерализации торговли (типа ВТО). Каждая региональная организация формирует свой «консенсус» относительно рецепта экономического успеха и «фокусирует» свою деятельность в рамках организации. При этом «новый регионализм» усиливает конкурентную борьбу между регионами, а не предоставляет новые роли в национальном разделении труда.

Необходимо отметить, что регионализация ведет, с одной стороны, к определенному обособлению отдельных национальных хозяйств от магистральных, структурообразующих тенденций формирования мировой экономической системы, а с другой – к более прочному сцеплению отдельных национальных хозяйств, их сращиванию в единый экономический организм, созданию «сцепленных» опорных точек для тенденций глобализации. Иначе говоря, региональная интеграция есть необходимая ступень развития глобализации. Эти взаимосвязанные процессы происходят одновременно и предполагают согласование противоречий, возникающих между текущими групповыми (региональными) и долгосрочными (планетарными) интересами.

Международный опыт региональной интеграции свидетельствует о том, что страны с динамичным производственным сектором, продукция которого была конкурентоспособна на мировых рынках, смогли в полной мере использовать потенциальные возможности региональных союзов. Напротив, в странах с «узкой» номенклатурой производимой продукции, отсутствием конкуренции и опыта работы в условиях рынка «эффект» от участия в региональной интеграции оказался гораздо ниже. Это в определенной степени относится и к центрально-кавказским странам: их экономика, будучи слабо интегрированной в международное разделение труда, все больше приобретает черты периферийной экономики, ориентированной на экспорт топлива и сырья, а также импорт высокотехнологичной машиностроительной продукции и готовых потребительских товаров. Именно поэтому торговля природными ресурсами – это пассивная геоэкономическая ниша, чрезвычайно чувствительная к положению страны в мировом сообществе и воздействию извне [6].

ბუნებრივია, ჩვენ ვერ “დავეწიეთ” და მით უმეტეს ვერც “გავუსწარით” საბაზრო ეკონომიკის მქონე ვერცერთ ქმედანას, ვერც ეკონომიკის ზოგად-ეროვნული მაჩვენებლით – ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტით და ვერც ცხოვრების დონით. პირიქით, სამოცდაათიანი წლებიდან დაწყებული, როცა “სტალინური დისციპლინა და წესრიგი” საბოლოოდ მოიშალა, ეკონომიკური ზრდის ტემპები კატასტროფულად ჩამორჩა “ძირმომბალი კაპიტალიზმის” ყველა ეკონომიკურ მაჩვენებლს, ხოლო 80-იანი წლებიდან დაიწყო “უძ-

რაობისა და უკანსვლის პერიოდიც”. შრომის ნაყოფიერების – ეკონომიკური ზრდის მთავარი პარამეტრის – ზრდის მაჩვენებელი ფაქტობრივად ნულისკენ წავიდა. საღად მოაზროვნე საზოგადოებისათვის ცხადი გახდა იმ იდეალისა და მიზნის კრახი, რომელიც ძალიან ახლოს იყო ფრანგული უტოპიური სოციალიზმის იდეებთან, რაც “პროლეტარიატის დიდა ბეჭდადმა” სოციალიზმის გარიურაჟზე დასახა: სოციალიზმი კაპიტალიზმს “შრომის უმაღლესი ნაყოფიერებით დაამარცხებს”-თ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ სოციალისტური გებ-მიური ეკონომიკის ყველაზე წარმატებულ პერიოდშიც კი, სოფლის მეურნეობაში დასაქმებული 27 კაცი ქმნიდა იმდენ პროდუქციას, რამდენსაც ერთი ამერიკელი ფერმერი.

სწორედ ესაა, ჩვენი აზრით, მთავარი მიზანი სოციალისტური სისტემის კრახისა, სხვა უმნიშვნელოვანებს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მიზეზებთან ერთად. ამიტომ საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივისტორიულ პროცესს არც ერთ ქვეყანასა და ეპოქაში აღტერნატივა არ ჰქონია. ამის საფუძველს იძლევა მემკვიდრეობის უნივერსალური კანონის არსებობაც, საიდანაც იდებს იგი თავის მასაზრდოებელ ფესვებს.

აქედან ცხადია, რომ ცივილიზაციის დღემდე ცნობილ ყველა წყობილებას აქვს გარკვეული აღტერნატივა, გარდა საზოგადოებრივი განვითარების ამ ბუნებრივისტორიული პროცესისა. თავის მხრივ, საზოგადოების განვითარების ბუნებრივი მიმდინარეობის ეს პროცესი შეუძლებელია მემკვიდრეობის უნივერსალური კანონის გარეშე წარიმართოს. ნებისმიერი ერის მთავარი ამოცანაც სწორედ ის არის, რომ შეძლოს, გაითავისოს და თავისი განვითარების “ბალაგრის ქად” აქციოს ბუნებისა და საზოგადოების ეს საყოველთაო კანონი.

ეს განსაკუთრებით ეხება იმ ერს და ქვეყანას, რომელიც “ძნელბედობის” თითქმის 800 წლიანი პერიოდით მოწყდა თავისი ბუნებრივისტორიული განვითარების ამ მემკვიდრეობით ხაზს და “სხვათა და სხვათა ბაძის” ექსპრიმენტების ასპარეზად გადაიქცა. განსაკუთრებული ულისტკივილით წერდა “ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის” ამ “წარდგენაზე” დიდი ილია. მისი “საერთო ნიადაგის” თეორიაც “ქართული ცხოვრებიდან აღმოშობილ” პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრინციპზეა აგებული, რადგან კარგად იცოდა, რომ “ცხოვრება თვითრჯულია, იგი არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ” [1, გვ. 536].

“საქართველოს მოამბის” ერთ-ერთ სარედაქციო წერილში ილია ჭავჭავაძე ხაზს უსვამს, რომ ქართველი ხალხის მომავალი მხოლოდ მის ისტორიულ მემკვიდრეობას შეიძლება დაეფუძნოს მკვიდრად. ამ საჭირობოროტო პრობლემას მიუძღვნა შემდგომ თავისი განხოქული სტატიაც “ერი და ისტორია”.

“ჩვენ არაერთხელ გვითქმამს, რომ – წერდა დიდი ილია, – ერის პირქვე დამხობა, გათახხირება, გაწყალება იქიდამ იწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეგარგება თავისი წარსულისა, თავისი ყოფილის ცხოვრებისა... ამისთანა ხალხი უბინაო კაცია ჰგავს, რომელმაც არ იცის ვინ არის, რისთვის არის, საიდან მოდის და ხად მიდის... ულმობელი კანონი ისტორიისა, ამისთანა ხალხს ვერ დაინდობს...

თუნდ ეგეც არ იყოს, შვილმა უნდა იცოდეს სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების ულელის წევა. შვილს უნდა გამორკევული ჰქონდეს რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა უმართავდა ხელს და რა აბრკოლებდა... უამისოდ თვითონ შვილი, რა გინდ მხენე და გამრჯე იყოს, ამ წუთისოფელში ვერას გახდება” [1, გვ. 608, 610].

სამი ათასწლეულის მიჯნაზე მისული ქართველობისათვის მთავარი სწორედ ისაა, რომ გავარკვიოთ ვისი და რისი შემკვიდრები ვართ, ვინ იყო ჩვენი მამა და ვინ კიდევ მამინაცვალი. მხოლოდ ამით შვდებოთ “აღმოგმობოთ ჩვენი-

ვე ეროვნული ცხოვრებიდგან” “ტაძრისკენ” მიმავალი ერთადერთი სწორი გზა... და თუ მაინცდამაინც “სოციალური” ორიენტაცია გვინდა, სხვა ქვეყნის მო-დელებს ნუ კი ვეძებთ, ისევ ჩვენებური, ისტორიის ლაბირინთებიდან ამოვწიოთ ქართულ ფინანსთან უფრო ახლოს მდგომი მოდელი თუ წესი, და თუ “კაპი-ტალიზმის” ნაირსახეობა გვინდა, ცივილიზაციის ამ წარმონაქმნსაც XI-XIII საუკუნეების “ოქროვანი ხანა” თავის იერსახეს აძლევს: ეს ის ეპოქაა, როცა ქართული კაპიტალი და ქართული სამეწარმეო სული პირები სერიოზულ ნა-ბიჯებს დგამდა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ ახლო აღმოსავლეთისა და მთელი კავკასიის მასშტაბითაც. დიდი ივანე ჯავახიშვილი თავის “საქართვე-ლოს ეკონომიკურ ისტორიაში”, იქ, სადაც გუთნის ეტიმოლოგიას და მემარცვ-ლეობის ტრადიციული ეროვნული დარგის განვითარებას იკვლევს, ამ ფაქტსაც საგანგებოდ უსვამს ხასს.

ზემოთ ნათქვამი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ საჭირო და აუ-ცილებელია საკუთარი დიდი ისტორიული გამოცდილების გათავისება. მსოფ-ლიო გამოცდილებამაც დაადასტურა, რომ მოდელების კალკირება უფრო აღვი-ლია, ვიდრე საკუთარი ორიგინალური მოდელის შექმნა, სადაც გათვალისწი-ნებული იქნება მეურნეობრიობისა და სოციალური დაცვის ეროვნული ტრადი-ციები, ქართველი ხალხის ფინანსი და ეროვნული ხასიათი. რაოდენ გასაკვი-რიც არ უნდა იყოს, დანიამ და ნორვეგიამ, არ გადმოიღო საბაზრო ეკონო-მიკის “შგეღური მოდელი”. მათ თავისით საკუთარი (და არანაკლებ ეფექტური) მოდელი შექმნეს, მაშინ როცა დანიელები და ნორვეგიელები გენეტიკურად შორს არ დგანან ერთმანეთისაგან. ისიც ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ “დამარცხებული” იაპონია სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრი-სით მთლიანდ აშშ-ზე დამოკიდებული გახდა, მაგრამ ათი წლის შემდეგ აშშ-ს მთელი მისი ვალები დაუბრუნა და ამერიკისაგან სრულიად განხსნავებული საბაზრო ეკონომიკის საკუთარი მოდელი შექმნა, რომელიც დაფუძნებული იყო საკუთარ ტრადიციებზე, სარწმუნოებაზე, ეროვნულ ზექ-ჩვეულებებსა და ხასიათზე.

ჩვენი აზრით, ჰემარიტებას არაა მოკლებული ის აზრი, რომ ჩვენ უნდა დავიწყოთ საქართველოს “ოქროვანი ხანის” სოციალურ-ეკონომიკური მემკვიდ-რეობის აღორძინებისა და გათანამედროვეობის – “ქართველთა სახელისა და ქართული წესწყობის” რეამინიცია-რეაბილიტაცია. ამით მალე დავადგწევთ თავს დღევანდელ სისტემურ კრიზისაც და მკვიდრ საფუძველს შევქმნით სამომავ-ლო განვითარებისთვისაც. ამ პრობლემაზე ნამდვილად დირს ფიქრიც და განხ-ჯა-კამათიც, ეკონომიკური ანალიზი და სათანადო გადაწყვეტილებების მიღე-ბაც. აქედან ერთი რამ ცხადია: ჩვენს მაგივრად ამ საქმის გადაწყვეტას არა-ვინ მოპეიდებს ხელს, მით უმეტეს, როცა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ნა-ა-ლებად არიან დაინტერესებული მცირე ტერიტორიების მქონე ქვეყნების ეკო-ნომიკური აღორძინებით. ეს პრობლემა უნდა გადაწყვიტო ერის ინტელექტუა-ლურმა ძალებმა, რითაც ისინი სწორ გზა-კვალს მისცემენ ერის ძირითად მწარმოებელ ძალებს.

მეტად სამწუხაროდ გვეჩვენება “უცხოთმოყვარეობის” ჩვენი ეროვნული სინდრომი – სოციალური დაცვაცა და ქველმოქმედებაც სხვათა და სხვათა მი-ბაძვისა და გამოცდილებაზე გვინდა დავაფუძნოთ, მაშინ როცა იგივე “ოქროვა-ნი ხანის” საქართველო ძალიან ბევრ ქვეყანას ამის კლასიკურ ნიმუშად გამო-ადგება: ის, რასაც დღეს ამერიკაში და სხვა ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ სო-ციალური დაცვის პროგრამით “საზოგადოებრივ სამუშაოთა ორგანიზება”, “სა-გადასახადო შედაგობები” და “პროგრესული დაბეგვრა” ჰქვია, მაშინდელი სა-ქართველოს მართვა-გამგეობის აუცილებელი ატრიბუტები იყო. აღაზნის არხის

თუ ვარძიისა და ბაგრატის, ანდა ხერთვისისა და ხორნაბუჯის ციხესიმაგრეთა მსგავსი დიდი სამშენებლო კომპლექსები ამ გზითა და მეთოდებით შენდებოდა.

უკელაფერი ეს ხორციელდებოდა მიწაზე საკუთრების, მიწათმფლობელობის და მიწათსარგებლობის უაღრესად მოქნილი ეროვნული მექანიზმით, რომელიც, ტრადიციულად, ხუთ სხვადასხვა ფორმაზე იყო დაფუძნებული. ხოციალური დაცვის ჩვენი ეროვნული სისტემა ისე ეფექტურად მუშაობდა, რომ მაშინდელ საქართველოში მათხოვრობა და გლასხაკობა ანომალიად ითვლებოდა. რად დირს თუნდაც „ქართველთა დმრთისადმი“ – დავითისადმი და ქვეყნის იდეალური მმართველობისადმი რუსთაველური ხოტბა: „ყოვლთა სწორად წელობასა, ვითა თოვლასა მოათოვდეს, ობლო-ქვრივი დაამდიდრეს და გლასხაკნი არ ითხოვდნენ, ავთა მემნელნი დააშინეს, კრაგნი ცხვართა ვერ უწოვდნენ, შიგან მათთა საბრძანისთა, თხა და მგელი ერთად მოვდნენ“...

სახელმწიფო მართვა-გამგეობის და, თუ გნებავთ, „ქართული სოციალური მოდელის“ ამ პოეტურ იდეალს ხორცი შეიძლება შეესხას მხოლოდ „ოქროვანი ხანის“ ეკონომიკური მექანიზმით. ამ მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სახელმწიფო განვითარებამ ისეთი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა წარმოშვა, რომელიც აპრიორის სახით თხოულობდა სახელმწიფოს, როგორც ერის თვითშენახვის და განვითარების უკელაფე აუცილებელი წინაპირობის, პოლიტიკურ და სამართლებრივ უზენაესობას უკელა სოციალური ფენის ინტერესებზე მაღლა. საქართველოს სამხედრო პოლიტიკური მდგრმარეობა წინააღმდეგობებით აღსავსე ჩვენს რეგიონში თხოულობდა და დღესაც თხოულობს სახელმწიფო ხელისუფლების პრესტიუსისა და განმსაზღვრელი როლის უზრუნველყოფას. სხვანაირად ქვეყანა თავს ვერ გაიგანდა და ვერც მომავალში გაიტანს. და, მართლაც, სანამ სახელმწიფო ხელისუფლების ეს როლი და ავტორიტეტი თავის სიმაღლეზე იდგა და „ყოველთა სწორად წელობასა, ვითა თოვლასა მოათოვდა“, უკელა „კაი ყმა“ მზად იყო თავი გაეწირა მისთვის. ის ინახავდა „ქართველთა სახელსაც და ქართველთა წეს-წყობასაც“. „ლაშქრად წასელა და მონა-საბად ყოფნა“, დღევანდლობისაგან განსხვავებით, მაშინ ქართველი კაცის უკელაზე დიდი მოვალეობა და უფლებაც იყო. როცა კაცს რაიმე დანაშაულისათვის სჯიდნენ, ერთ-ერთი უკელაზე დიდი სასჯელი სწორედ „თემიდან და ლაშქრიდან მოკვეთა“ იყო.

აღსანიშნავია, რომ დიდი ილია სტატიაში „აკაკი წერეთელი და ვეფხისტყაოსანი“, აღამიანთა სოციალური დიფერენციაციის მარქსისტული პრინციპის საპირისპირო პიროვნებათა ერთ მეტად მრავლისმეტყველ დიფერენციაციას იძლევა: 1. „ზოგად-კაცი“ (რუსთაველის მსგავსი საერთო-საკაცობრიო მასშტაბის დიდი პიროვნება). 2. „ერის-კაცი“. 3. „თემის-კაცი“. 4. „გვარის-კაცი“. 5. „ოჯახის-კაცი“.

ილიას ეს დიფერენციაცია საოცრად ეხმაურება „პატრონულობის“ ძველ ქართულ ფენომენს. „პატრონულობის“ იქრაოქიაც ისე იყო აგებული, რომ მას იმდენად ქონებრივი და სოციალური დატვირთვა კი არ ჰქონდა, რამდენიც ზოგადადამიანური, ამ „სოფელ-ქვეუნის“ წინაშე გარკვეული ვალდებულებებითა და შესატყვისი პასუხისმგებლობით გამოხატული.

დავით აღმაშენებლისა თუ გიორგი ათონელის მსგავსი „ზოგად-კაცი“, რომელთა საქმენი და სახელი ქვეყნის ფარგლებს სცილდებოდა და მაშინდებლი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ინტერესებსაც ეხმაურებოდა, „ერის-კაცთა“, „თემის-კაცთა“, „გვარის-კაცთა“ და, ბოლოს, „ოჯახის-კაცთა“ საშუალებით ახორციელებდნენ თავიანთი იდეებისა და პრინციპების რეალიზაციას. აქ უკელას თავისი დანიშნულება ჰქონდა, თოთოვეულს თავის სფეროში საჭირო და გადამწევები ფუნქცია ეკისრებოდა.

ახალი საქართველოც ასეთ საერთო-ზნეობრივ ღირებულებებზე უნდა აშენდეს. უნდა შევნიშნო, რომ ჩვენ აქ რადაც არქაულ კატეგორიებზე კი არა გვაქვს საუბარი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ “პატრონულმობა”, “სოციალიზმი” თუ “ქაპიტალიზმი”, არამედ ჩვენ აქ ვგულისხმობთ “ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის” დღიებებს, თუ ღრმად ჩავხედავთ მოვლენებს, მაგალითად, დღევანდელი იაპონიის სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებს, იგი საოცრად გვაგონებს “პატრონულმობის” ჩვენს ძველ ეროვნულ პრინციპებს. ცნობილია, რომ ამ ქვეყნის წამყვანი ფირმები თავისებურ მუდმივ “სოციალურ კონტრაქტებს” დებენ თავის მუშა-მოსამსახურებთან, რომლის ძალით ამ უკანასკნელთ უზრუნველყოფილი აქვთ თავიანთი სამუშაო ადგილი და ამით მომავალი კეთილდღეობა, რაც, ბუნებრივია, მოცემული ფირმის და მთლიანად ქვეყნის ინტერესებშიც შედის. ინტერესთა ასეთი პარმონია ქმნის სწორედ ქვეყნის სტაბილური სოციალ-ეკონომიკური განვითარების გარანტიებს. ამ მხრივაც ჩვენს ეკონომიკური აზრის ისტორიას გადახედვა და გათანამედროვეობა სჭირდება.

დღევანდელ მსოფლიოში მომძლავებული ეწ. “ნეოკონსერვატიზმი” სწორედ წარსულის გათავისება-გათანამედროვეობით იკვებება თავისებური “ახალი რენესანსული იდეებით”. ამიტომაა, რომ თითქოსდა ანაქრონიზმად ქცეული სამუარული ტრადიციების მოვლა-პატრონობა და დაცვა, დღეს იაპონური ნეოკონსერვატიზმის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა და მიმართულება გახდა. ჩვენი ქვეყნის აღორძინებას უფრო მეტად სჭირდება ეროვნული ტრდიციების აღდგენა და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის სამსახურში ჩაყენება. ქართულ კონსერვატიზმს თუ ნეოკონსერვატიზმს ამ მხრივ სამომავლოდ დიდი პოტენციური შესაძლებლობები გააჩნია, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ მას იდეოლოგებად უკანასკნელი ასწლეულის ორი უკელაზე გამოჩენილი ერისკაცი ჰყავს. მთავარია ამ დიდი პოტენციური შესაძლებობების რეალიზაცია მოვახდინოთ თანამედროვე გააზრებით.

ცნობილია, რომ საზოგადოების განვითარების მაგისტრალური გზის შესახებ ისტორიული დავა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის პირველის სასარგებლოდ გადაწყდა, თუმცა, როგორც იტევიან, “გახერებული საათიც კი დღე-დამეში ორჯერ უზუსტეს დროს უჩვენებს”, კაპიტალიზმა სოციალიზმის გან ბევრი რამ მიიღო და გაითავისა. ამ მხრივ საქმარისია გაფისენორ რუზელტის “ახალი კურსი”. ისიც ნიშანდობლივია, რომ მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ამერიკის “რეიგაუკონომიკაც” მნიშვნელოვანწილად სახელმწიფო რეგულირების პრინციპზე იყო დაფუძნებული. თვით “უპირველესი კომუნისტის” სტალინის მიერ შექმნილი სოციალისტური წყობა, განსაკუთრებით კი მისი “სოციალიზმის ეკონომიკური პროცესები სსრკ-ში”, ისე, როგორც დღევანდელი “ჩინური ექსპრომენტები” ფულად-სასაქონლო ურთიერთობისაკენ ორიენტირებული სახელმწიფო კაპიტალიზმის კლასიკური გამოვლინება იყო. როგორც ვხედავთ, ცხოვრებამ თვითონ დაარეგულირა ამ ორი წყობის პოზიტიური პრინციპების ურთიერთშერწყმა, ანუ კონვენცია. ვთიქონოთ, ჩვენი უმთავრესი ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ კონვენირების ეს მსოფლიო გამოცდილება ჩვენი ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით.

ამ მხრივ ჩვენ ისტორიულად გაგვაჩნია არაერთი წმინდა ეროვნული ფენომენი, რომელთა შორის უნდა გამოყოს “ხოდაბუნები”. ალბათ, შემთხვევითი არაა დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძის სიტყვები “ქსანზე, არაგვზე ისევ ჰყვავიან ხოდაბუნები თავთუხებისა”... ”ხოდაბუნების” პრინციპის აღორძინება ჩვენი ეროვნული ეკონომიკის შექმნის მაგისტრალურ გზად მიგვაჩნია, განსაკუთრებით აგრარულ სექტორში. ამიტომ ღირს მასზე დავაფუქმნოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის გარკვეული ნაწილი მაინც. ათასწლეულებით

აპრობირებულ ამ სამეურნეო-ორგანიზაციულ ფორმას შეუძლია თვისებრივი გადატრიალება მოახდინოს არა მარტო სოფლის მეურნეობაში, არამედ მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. სწორედ ასეთი საერთო-ეროვნული მნიშვნელობით განიხილავდნენ “ხოდაბუნების” არსეს ილია ჭავჭავაძე და ივანე ჯავახიშვილი. ისინი მათ წარმოშობასა და განვითარებასაც “პატრონებურ წეობას” უქავშირებდნენ: “პატრონი” ეკონომიკური კატეგორიაც იყო და “მეურნის სინონიმსაც წარმოადგენდა”. მეტიც, იგი სოციალური დაცვის აუცილებელი კომპონენტიც იყო. ეს კარგად ჩანს შიო-მძვიმის მონასტრისადმი დავით აღმაშენებლის “ანდერმში”. მეტად საინტერესოა “ანდერძის” მიმართვის ფორმაც: “... ერისთავთა, კათალიკოზთა... და ყოველთა შეწყალებულთა” (ე.ი. ქვეყნის მთავარი “პატრონი” მთელ ერსა და ბერს მიმართვას), რაც “სიბოროგითა უმთა შეცვალებულნი არიან, მე კვლავაც განმიახლებია” (მაშასადამე, მაშინაც ბეკრი რომ “უმთა სიბოროგით” “შეცვალებულნი” ხდებოდა და ქვეყნის ბატონ-პატრონი თავს ვალდებულად თვლიდა, განეახლებინა ქვეყნის “წარხედებილი წეს-წეობა”). მაგრამ ეს დოკუმენტი პირველ რიგში იმითაა ნიშანდობლივი, რომ აქ გამოკვეთილადაა ნაჩვენები “ხოდაბუნების” არა მარტო სამეურნეო, არამედ სოციალური დაცვის ფუნქციაც:

“... ვითა ბერსა განმანათლებელსა ჩემსა არსენის განუწევებია, მე ხოდაბუნი შემიწირავს მუხრანსა წმინდისა სეიმონ საკირველ-მოქმედისა, რომელმან სამი დღისა მკედარი აღმადგინა” (ზეულისხმება ნადირობის დროს დავითის გაქანებული ცხენის ხეზე შეჯახება, რის შედეგადაც მეფე სამი დღე კლინიკური სიკვდილის მდგომარეობაში იმყოფებოდა). დავითის ანდერძით შორ მდვიმის მონასტერს “სამარადევამო სარჩო-საბადებლად” გადაეცა მუხრანის ხოდაბუნი, რითაც “სოციალურად დაიცვა მონასტრის ბერ-მონაზენებიც და, ამასთან, თვითონ “ხოდაბუნში” გაერთიანებული მწარმოებელი ძალებიც. “განმანათლებელი ბერი არსენის განწევებაც” სწორედ იმას გულისხმობდა, რომ თავისებური “უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი” იძლეოდა ამ შემთხვევაში მუხრანის “ხოდაბუნს” მაგრამ, ეტერბა, საერთოდ მთელ ხოდაბუნურ სისტემასაც.

“ხოდაბუნები” თავის თავში აერთიანებდა წარმოების სამ მთავარ ატრიბუტს: შრომის იარაღს, სამუშაო ძალასა და შრომის ობიექტს. ამასთან ნიშანდობლივა, რომ შრომის ობიექტი საკუთრების ყველა ფორმას მოიცავდა, თუმცა მისი საფუძველი მაინც სახელმწიფო-სახაზინო და სათემო-სასოფლო საკუთრება იყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ “ხოდაბუნური მეურნეობა” ძალიან ახლოს დაბას “ხოდაბუნური სოციალიზმის” იდეასთან, რაც ასევე შეიძლება ჩავთვალოთ, როგორც “კიბუცური სოციალიზმის” ქართული ვარიანტი. მართალია “ხოდაბუნები” უპირატესად მემარცვლეობის დარგში ფუნქციონირებდა, მაგრამ “კიბუცების” მსგავსად, მეურნეობის სხვა დარგები უცხო არ იყო მათვის. ეს განსაკუთრებით ეხება მთისა და მთისბირა რეგიონებს, რომელთა თემების ხოდაბუნებს კოლექტიური საკუთრების დიდი “ზორებიც” გააჩნდათ ბარში ვენახისა და საბაღებ-საბოსტნე კულტურების წარმოებისათვის. სამაგიეროდ, ბარის თემებს ისინი ნაცვალებებით საზაფხულო სამოვრებს აძლევდნენ.

მაგრამ “ხოდაბუნების” ეკონომიკური ეფექტი ქვეყნისათვის შირაქის მსგავსი “საყანე მიწების” დიდი მასივების სამეურნეო ათვისებაში აისახება. მათი ეს საერთო ეროვნული ფუნქციონალური დატვირთვა უნდა დაედოს საფუძველად მემარცვლეობის პრიბლების გადაწყვეტილების საქართველოში. “ხოდაბუნური” კოლექტიური მეურნეობებიც მიწის ასეთი შერეული დიდი მასივების აგროსერვების მიზნით იქმნებოდა. სხვათა შორის, “ხოდაბუნების” პრინციპია ჩადებული სტალინის მიერ ორგანიზებულ “მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში”. ეს სისტემა მთლიანად “ხოდაბუნურ” პრინციპზე შეიქმნა და ფუნქციონირებდა.

ისტორიულად, საქართველოში ხორბლეულის ტრადიციული რეგიონები ქართლ-კახეთი და მესხეთი, ანუ დღევანდველი სამცხე-ჯავახეთი იყო. მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდათ მარცვლეულით ქვეყნის დანარჩენი მხარეების უზრუნველსაყოფად. ამასთან დაკავშირებით დიდი ივანე წერს: “ხორბლეულის ნაკლებობა საქართველოს ზოგიერთ თემში და ამასთან დაკავშირებული ეკონომიკური პოლიტიკა საუცხოოდ ააშეკარავებს იმ უაღრეს ეკონომიკურ მნიშვნელობას, რომელიც საქართველოსთვის ქართლ-კახეთისა და მესხეთის პურ-ფუნთუშეულით მდიდარ თემებს ჰქონდათ” [2, გვ. 33].

ბუნებრივია, პრობლემების გადასაწყვეტიად დღესაც იგივე სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა უნდა გატარდეს. ამასთან, იგი სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრატეგიად უნდა ვაქციოთ, რადგან ეს ეროვნული ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს მოიცავს და მასზეა დამოკიდებული ხალხისა და სახელმწიფოს კეთილდღეობა. დავაკირდეთ, თუ როგორი სიმბოლიკებით ასათაურებს მემარცვლეობის ისტორიაზე თავის ფუნდამენტურ გამოკვლევას დიდი ივანე: თვითეულ რეგიონს, თითოეულ სასოფლო-სამეურნეო იარაღს და მარცვლეულის თითოეულ ჯიშს განიხილავს ისტორიული განვითარების პრიზმით და საერთო-ეროვნული დანიშნულებით. ნიშანდობლივია ამ მხრივ მისი დაკვირვება “ახალ-თეხლა” და “ძველ-თეხლა” ხორბლეულის ქართულ ჯიშებზე, მათი წარმოშობისა და განვითარების ისტორიულ თავისებურებებზე: “როდესაც ქართველური ტომები იძულებული გახდნენ თავიანთი წინანდებლი მიწა-წყალი მიეტოვებინათ და ჩრდილოეთისაკენ წამოსულიყვნებ (იგულისხმება პრეისტორიული “ხალხთა დიდი გადასახლებანი” პალესტინიდან და შეამდინარეთიდან – ავტ.), ამ ახალ ქვეყანაში მათ წინანდებლთან შედარებით მიწა-წყლისა და პავის ძალზე განსხვავებული პირობები დახვდათ.

მთავარ განმასხვავებელ გარემოებას ქვეყნის მთაგორიანობა შეადგენდა, რომლის წყალობითაც აქ ცივი და თოვლიანი ზამთარი სუფევდა... მეურნეობის მთელი სისტემა უნდა სათანადოდ შესწორებულიყო” [2, გვ. 2009].

ამ შესწორების არსი კი, საბოლოო ჯამში, იმით გამოიხატება, რომ ქართველმა ხალხმა ახალ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში საუკუნეთა განმავლობაში საშემოდგომო და საგაზაფხულო ხორბლეულის ახალი ეროვნული ჯიშები შექმნა, რომელიც ჩვენ ეროვნულ სამაყეს შეადგენს დღესაც.

ასეთივე მნიშვნელობას ანიჭებს დიდი ივანე ტერასებისა და სამთო მიწათმოქმედების უძველეს ქართულ ტრადიციებს და შრომის იარაღებს – ყველაფერს იმას, რომლითაც “ბევრი ერი როდი დაიკვეხნის”. ამიტომ, “ყველივე ეს ქართველი ერის მაღალი სამეურნეო კულტურისა და შესაძლებლობის მაჩვენებელია”. განსაკუთრებით აღნიშნავს ისეთ უნიკალურ ეროვნულ ჯიშებს, როგორებიცაა “დოლის პური”, “თავოუხი”, “თეთრი და წითელი დიკა”, “შავფეხა” და სხვა. ათასწლეულობით აპრობირებულ ამ ჯიშებს და სამეურნეო ორგანიზაციულ ფორმებს არ შეიძლება აღტერნატივა ჰქონდეს. საჭიროა მხოლოდ მათი აღორძინებისა და შემდგომი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ამ სფეროშიც კალავ ძველი პრინციპები და სტრუქტურებია გაბატონებული. სამეურნეო, სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების ეს სტრუქტურები, რომელთა მარგი ქმედების კოეფიციენტი ფაქტობრივად ნულის ტოლია, უნდა რეორგანიზდეს იმგვარად, რომ მათ ბაზაზე შეიქმნას მემარცვლეობის წარმოების სახელმწიფო კორპორაცია, რომელიც, ხორბლეულის ტრადიციულ რეგიონებში “ხოდაბუნების” ძველი სამეურნეო სისტემის აღორძინებით, მკვიდრ ნიადაგზე დააყენებს ამ სტრატეგიული სამეურნეო დარგის განვითარების საშვილიშვილო საქმეს.

ჩვენს ქვეყანას ისტორიულად ყოველთვის შეეძლო მარცვლეულის პროდუქტებზე თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და, სწორი და მიზანი-

მართული სამეცნიერო პოლიტიკის პირობებში, მომავალშიც შეუძლია იგივე გააკეთოს. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა “ხოდაბუნური მეცნიერების” გათანა- მედროვებული ფორმის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია გარებებული სამსა- ხური გაუწიოს მემარცვლეობის პრობლემის საბოლოოდ გადაჭრას თუ არა მის ნაწილობრივ მოგვარებას მაინც, რაც აგრარულ სექტორში სოფლის მოსახ- ლეობის დასაქმებასაც შეუწყობდა ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1980.
2. ივანე ჯავახიშვილი, “საქართველოს ეკონომიკური ისტორია”, 1986.

*Murman Kvaratskhelia
Doctor of Economic Sciences, Professor*

ILYA CHAVCHAVADZE AND IVANE JAVAKHISHVILI ON SOME PECULIARITIES OF NATIONAL ECONOMY FORMATION

Summary

The article deals with general sociological aspects of social-economic formations, historical peculiarities of their origin and development, the necessity of modernizing old “law and order” to form national state. The author proves the necessity of formation of Georgian model of market relations and considers that the existence of approved forms of economy in Georgia in the period of renaissance is its prerequisite, the reanimation of which in a certain form will create the stable foundation for the formation of Georgian national economy.

*Анзор Кураташвили
Академический доктор экономики*

ПРАВОВЫЕ ПУТИ И МЕХАНИЗМЫ РЕШЕНИЯ ПРОБЛЕМ СОЦИАЛЬНО ОРИЕНТИРОВАННОЙ РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКИ В УСЛОВИЯХ ПЛЮРАЛИСТИЧЕСКОГО ОБЩЕСТВА

Проблемам общественного и государственного развития в современном цивилизованном мире посвящено множество научных трудов.

В связи с вышеизложенным особо обращают на себя внимание научные труды, посвященные демократическому обществу, демократическому государству, постиндустриальному обществу, информационному обществу и т.д. [1;2].

Вместе с тем, как нам представляется, главной отличительной чертой современного цивилизованного мира является плюрализм. В частности, имеется в виду наличие в современном обществе и государстве разных ветвей власти, существование плюрализма форм собственности, свободы слова – возможности высказывать разные точки зрения и т.д.

Таким образом, главной отличительной чертой современного цивилизованного мира, по нашему мнению, является наличие плюралистического общества и государства.

Однако, во-первых, «индустриальная развитость стран не всегда означает их цивилизованность, ибо цивилизованность – как отмечает профессор Альфред Кураташвили, – это прежде всего человечность – возвышенная духовность, проявляющаяся в высоком интеллектуальном и нравственном потенциале членов общества и, вместе с тем, в социальной целевой направленности общества и государства – направленности на реализацию интересов народа» [3, с. 286-287].

И, во-вторых, наличие плюралистического общества еще не означает подчинение данного общественного строя интересам народа.

Поэтому, в условиях плюралистической общественно-государственной системы особое значение приобретает исследование теоретических проблем социально ориентированной рыночной экономики, а также определение правовых путей и механизмов их решения.

Актуальность исследования вышеотмеченных проблем особенно возрастает в условиях мирового экономического кризиса начала XXI века, что обусловлено, прежде всего, тем, что мировой экономический кризис создает большие сложности для решения социальных проблем и, соответственно, для практической реализации социальной ориентации рыночно-экономической системы.

Для углубленного научного исследования этих проблем, на наш взгляд, необходимо, прежде всего, определение сущности и специфических черт социально ориентированной рыночной экономики, а, следовательно, выявление особенностей данной рыночно-экономической системы и ее отличий от рыночной экономики в традиционном понимании.

В термине "рыночная экономика", по нашему глубокому убеждению, должно подразумеваться, с одной стороны, экономика, нацеленная на получение максимальной прибыли, с использованием многообразных форм ее рыночной организации, а, с другой стороны, – экономика, в которой главная роль придается рыночным механизмам.

Таким образом, рыночная экономика – это экономика, нацеленная на максимизацию получения прибыли с решающей регулирующей ролью в ней рыночных механизмов.

При этом под рыночной экономикой фактически подразумевается всеобщий характер рынка – рыночных отношений, что свойственно капитализму, т. е. в термине "рыночная экономика" в современном понимании фактически подразумевается

капиталистическая рыночная экономика, так как иначе невозможно объяснить содержание перехода к рыночной экономике, тогда как рынок – рыночные отношения – и, соответственно, рыночная экономика не являются характерными лишь для капитализма.

В связи с содержанием перехода к рыночной экономике обращает на себя внимание мысль о том, что "эти концепции (концепции перехода к рыночной экономике – А. К.) достаточно узко, не в соответствии с реальными задачами перехода, ориентируют практику реформирования на движение именно (и только) к капитализму (поскольку общество от "социализма" уходит)" [4, с. 37].

Обращает на себя внимание также то, что в известном зарубежном экономическом словаре энциклопедического типа – экономика частного предпринимательства, свободная рыночная экономика и капитализм фактически рассматриваются как одни и те же понятия [5, с. 66], что, по нашему мнению, явно указывает на то, что частное предпринимательство и свободная рыночная экономика характерны для капитализма.

Вместе с тем, во-первых, капитализм не является только лишь частным предпринимательством и рыночной экономикой и, во-вторых, существование частного предпринимательства и рыночной экономики возможно не только при капитализме.

Рыночная экономика существовала и ранее, но в современном понимании под рыночной экономикой подразумевается (должна подразумеваться) экономика регулируемая рынком, т. е. подразумевается экономика, которую регулирует рынок, в отличие от экономики советского типа, когда регулирование экономики происходило централизованным планом и командно-административными методами, т. е. той системой, которую Людвиг Эрхард назвал принудительно направляемым хозяйством [6, с. V].

Исходя из отмеченного выше, рыночная экономика, в том понимании, которое реально подразумевается в данном термине в современных условиях, по моему глубокому убеждению, должна называться экономикой, регулируемой преимущественно рынком.

Что касается социально ориентированной рыночной экономики, то она подразумевает, с одной стороны, необходимость использования многообразных форм рыночной организации и регулирующей роли рыночных механизмов и, во-вторых, необходимость правового и организационного вмешательства государства при максимальном сохранении возможной свободы предпринимателей.

Таким образом, если рыночная экономика – это экономика, цель которой получение максимальной прибыли с использованием отмеченных многообразных форм и средств, что является определяющим критерием сущности рыночной экономики, то социально ориентированная рыночная экономика – это экономика, сущность которой определяется параллельно с ее – как рыночной экономики – стремлением к прибыли, ориентацией на решение социальных проблем, более точно же – социальной ориентацией.

Следовательно, сущность социально ориентированной рыночной экономики заключается в функционировании такой рыночной экономики, для которой характерны одновременно стремление к получению прибыли и социальная ориентация.

Что касается специфических черт социально ориентированной рыночной экономики, то они характеризуются, с одной стороны, стремлением к получению максимальной прибыли, а, с другой стороны, социальной ориентацией.

В совокупности отмеченных специфических черт выражается сущность социально ориентированной рыночной экономики и ее различие как от строго регулируемой, так и от свободной рыночной экономики. Хотя в то же время сами специфические черты социально ориентированной рыночной экономики вытекают из сущности этой экономики и выражают ее сущность.

Необходимо особо отметить, что выявление особенностей социально ориентированной рыночной экономики, и ее отличий от рыночной экономики в традиционном понимании, имеет принципиальное значение для решения проблемы социальной ориентации рыночно-экономической системы.

Что касается практической реализации сущностной природы социально ориентированной рыночной экономики, с учетом специфики ее функционирования, по моему глубокому убеждению, особое значение имеет определение правовых путей и механизмов их решения [7, с. 6; 8, с. 190-195].

Необходимо особо отметить, что главным критерием эффективного функционирования социально ориентированной рыночной экономики должно быть решение социальных проблем и обеспечение высокого качества жизни каждого человека.

Для решения отмеченных проблем мной определены пути и механизмы повышения влияния правового фактора – как на экономическую эффективность рыночных отношений, так и на социальную ориентацию рыночной экономики, а также на преодоление противоречий социально ориентированной рыночной экономики и на повышение ее эффективности.

В частности, мной предложено три основных направления:

Первое направление, т. е. первый путь – это, с одной стороны, признание потерявшими силу тех антиконституционных законов и других правовых актов, которые препятствуют (мешают) функционированию рыночных отношений – повышению их экономической эффективности и социальной ориентации, а также преодолению противоречий социально ориентированной рыночной экономики и повышению ее эффективности. С другой стороны, введение ответственности за принятие и претворение в жизнь антиконституционных законов и других правовых актов, которые могут ущемить права человека и помешать как экономической эффективности, так социальной ориентации рыночной экономики, а также могут помешать преодолению противоречий социально ориентированной рыночной экономики и ее эффективному функционированию.

Второе направление, т. е. второй путь – это, с одной стороны, стимулирование исполнения существующих законных и справедливых законов и других правовых актов, а, с другой стороны, повышение (ужесточение) ответственности на всех уровнях – как в отношении государственных должностных лиц, так и в отношении других физических, а также юридических лиц, за неисполнение возложенных на них законом обязанностей с целью практической реализации как экономической эффективности, так и социальной ориентации рыночной экономики, а также с целью преодоления противоречий социально ориентированной рыночной экономики и реализации ее эффективного функционирования.

Третье направление, т. е. третий путь – это принятие таких новых законов и других правовых актов, или внесение в нормативных актах таких изменений, которые будут способствовать повышению влияния правового фактора как на экономическую эффективность рыночных отношений, так и на социальную ориентацию рыночной экономики, а также на преодоление противоречий социально ориентированной рыночной экономики и на ее эффективное функционирование.

Использованная литература

1. **Lauvaux Philippe.** Les grandes democratis contemporaines. Paris, Presses Universitaires de France, 1990.

2. **Белл Даниел.** Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. Перевод с английского. М.: Academia, 1999.

3. Кураташвили Альфред А. Философия социальной цели. *Принципиально новое научное направление – исходная теоретическая основа формирования и функционирования истинно человеческого общества и государства* (монография на грузинском, английском и русском языках). Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2003.

4. Курс переходной экономики: Учебник для вузов (Под ред. акад. Л. И. Абалкина – М.: ЗАО "Финстатинформ", 1997.

5. Пасс К., Лоуз Б., Девис Л. Словарь по экономике. Пер. с англ. под ред. П. А. Ваткина. СПб.: Экономическая школа. 1998.

6. Эрхард Л. Благосостояние для всех. – М.: Начала - Пресс, 1991.

7. Кураташвили Анзор. Рыночная экономика и правовой фактор. BULLETIN "Medicine, Science, Innovation and Business New" ("Новости медицины, науки, инновации и бизнеса – голос профессионалов и бизнесменов США, СНГ и других стран мира"). Volume 6, Number 7 (57), July, 1999. New York, USA.

8. Кураташвили Анзор. Социально ориентированная рыночная экономика и влияние правового фактора на ее эффективное функционирование (монография на грузинском языке). Тбилиси: Международное издательство "Прогресс", 2008.

*Anzor Kuratashvili
Academic Doctor of Economics*

LEGAL WAYS AND MECHANISMS OF THE DECISION OF PROBLEMS OF SOCIALLY ORIENTED MARKET ECONOMY IN THE CONDITIONS OF PLURALISTIC SOCIETY

Summary

In scientific work there are considered legal ways and mechanisms of the decision of problems of socially oriented market economy in the conditions of pluralistic society.

In the work a special attention is given to the necessity of use of those legal ways and mechanisms offered by the author which should promote effective functioning of socially oriented market economy.

**ნინო გურატაშვილი
თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი**

**სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა და მისი მნიშვნელობა
ცივილიზაციი საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში**

სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერებლი კვლევა და სათანადო დასკვნების გაკეთება საზოგადოებრივი ცხოვრების უფლებითი ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტაციის განსაზღვრას და მის პრაქტიკულ რეალიზაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცივილიზაციული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების პირობებში, რადგან აღნიშნული პოლიტიკის გავლენის გარეშე საბაზრო სისტემის უფასებიანი ფუნქციონირება წარმოუდგენელია.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საბაზრო ურთიერთობების უფასებიანი ფუნქციონირების პირობება კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს პოსტ-საბჭოურ პერიოდში, რადგან მეცნიერებლი საფუძველზე დამყარებული პოლიტიკის, და, კერძოდ, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სწორად წარმართვის გარეშე შეუძლებელია ამ საზოგადოებრივ სისტემაში არსებული როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური პრობლემების გადაჭრა.

ადსანიშნავია, რომ ”ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირება ყურადღების ცენტრში გარდუვალად იყენებს საკოთხს მისი სოციალურ-ეკონომიკური მიზნებისა და ქვეყნის მოქალაქეების მდგომარეობის შესახებ. ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია მისი უფასებიანობის ზრდის მიზნით პირველ პლანზე წამოწევს ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანაფარდობის, სოციალური პრობლემების არსისა და გადაჭრის გზების, სოციალური პოლიტიკის საკითხებს“ [1, გვ. 593].

სახელმწიფოს სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, მრავალ სხვა მოსაზრებასთან ერთად, საყურადღებოა აგრეთვე, რომ ”სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა – ეს არის საზოგადოების ცხოველქმედების სოციალურ-ეკონომიკური პირობების რეგულირების... ერთ-ერთი მიმართულება. ის მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში საერთო ეკონომიკურ სიტუაციასთან, თამაშობს ორგვარ როლს. ერთი მხრივ, სოციალურ პოლიტიკაში ხდება ეკონომიკური განვითარების მიზნის პირდაპირი და უშუალო კონცენტრაცია. ეკონომიკური მოღვაწეობა ხომ ხორციელდება საზოგადოების უკელა ფენის ცხოვრების ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. მეორე მხრივ, სოციალური პოლიტიკა არის ეკონომიკური ზრდის ფაქტორი. თუ ეკონომიკურ განვითარებას თან არ სდევს ხალხის კეთილდღეობის ზრდა, მაშინ იქარგება შრომის ნაყოფიერების ზრდისადმი სტიმულები, სამუშაო ძალის ხარისხი, ძლიერდება სოციალური დაბაჟლობა საზოგადოებაში“ [2, გვ. 292].

ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს, რომ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკის საფუძველზე საბაზრო ურთიერთობებისა და საერთოდ საზოგადოებრივი სისტემის უფასებიანი ფუნქციონირება ერთ-ერთ ურთულეს პირობებას წარმოადგენს.

სწორედ აღნიშნული პრობლემიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ მეცნიერებლად დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას.

სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განხილვისას ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გეყრდნობით სოციალური მიზნის ფილოსოფიას [3], ხალ-

ხის ინტერესების უზენაესობის თეორიას [4] და, აგრეთვე, სოციალურად ორი-ენტირებული საბაზრო ეკონომიკის არსისა და სპეციფიკური ნიშნების პრინციპულად ახლებურ გააზრებას [5], რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებლად მიგვჩნია სახელმწიფოს სრულფასოვანი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და ეფექტიანი განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მივდივართ ლოგიკურ დასკნამდე, რომ სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის არსი – იმ საზოგადოებრივ სისტემაში, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება, მდგომარეობს ისეთ პოლიტიკურ მიმართულებაში, რომელშიც სოციალური, ანუ ხალხის ინტერესების რეალიზაცია განიხილება, როგორც მიზანი, ხოლო ეკონომიკური – როგორც ამ მიზნის რეალიზაციის აუცილებელი საშუალება.

ამრიგად, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მეცნიერული ანალიზიდან გამომდინარეობს დასკნა, რომ აღნიშნული პოლიტიკის განხილვისას უნდა იგულისხმებოდეს არა მხოლოდ უბრალოდ სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის ერთმანეთთან ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, ანუ უნდა იგულისხმებოდეს არა სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის უბრალო ჯამი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იგულისხმებოდეს ეკონომიკისადმი მიდგომის აუცილებლობა სოციალური მიმართულების თვალსაზრისით.

მაშასადამებ, ჩვენი დრმა რწმნით, ჰქონით, ჰქმდარიტად ადამიანურ საზოგადოებაში სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა წარმოადგენს კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ მიდგომას – კომპლექსურ სოციალურ-ეკონომიკურ მიმართულებას, რომელშიც ერთიანობაში განიხილება: სოციალური, როგორც მიზანი, ხოლო ეკონომიკური, როგორც სოციალური მიზნის რეალიზაციის საშუალება.

აქედან გამომდინარე, როგორც საერთოდ, ისე განსაკუთრებით მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში, სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა, ჩვენი აზრით, უნდა ითვალისწინებოდეს, ერთი მხრივ, საბაზრო ურთიერთობების ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებლობას ამ ეკონომიკური სისტემის მომგებიანობის თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, უშუალოდ ხალხის ინტერესების რეალიზაციის აუცილებლობას, რაც სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანს უნდა წარმოადგენდეს.

შესაბამისად, საზოგადოებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ მეცნიერულად დასაბუთებული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, რადგან სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკა უნდა თამაშობდეს უმნიშვნელოვანეს როლს როგორც საბაზრო ურთიერთობების ეკონომიკური ეფექტიანობის, ისე მისი სოციალური ეფექტიანობის თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ ”თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს საზოგადოება, რომელშიც არ იყოს სახელმწიფო ხელისუფლება, ე. ი. სახელმწიფო. სახელმწიფო ასრულებს პოლიტიკური, სამსახურო, ეკონომიკური და სამართლებრივი ხასიათის მრავალრიცხოვან ფუნქციას. კვლა ეს ფუნქცია ურთიერთდაკავშირებულია და მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეკონომიკის განვითარებაზე. მას შემდეგ, რაც ადამიანმა დაიწყო სამრეწველო წარმოება, ეკონომიკაში მთავრობის როლის თაობაზე მიმდინარეობს კამათი...

ეკონომიკური თეორიის კლასიკოსები ამოდიოდნენ იქდან, რომ ბაზარს შესწევს ავტომატური თვითრეგულირების უნარი, სახელმწიფოს როლი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებაში მინიმალურია. მთავრობა თავისუფალი ბაზრის სისტემაში გამოსცემს კანონებს, უშვებს ფულს, ქმნის ხელსაყრელ გარე-

მოს მისი ფუნქციონირებისათვის..., და აგრეთვე ასრულებს სხვა ამოცანებს, რომლებიც აღწერილია ა. სმიტის მიერ.

მრავალი თანამდედროვე ეკონომისტი დღესაც იზიარებს კლასიკოსების – ნეოლიბერალისტები, მონეტარისტები – ამ პოზიციას” [6, გვ. 194-195].

ამასთან, ცხოვრებამ აჩვენა, რომ სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის გარეშე თავისუფალ ბაზარს არ შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკური სისტემის მყარი და უფექტიანი ფუნქციონირება. შედეგად გაჩნდა საბაზო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საყოველთაოდ ცნობილი ჯ.მ. კეინზის კონცეფცია [7]. “კეინზიანობის ძირითადი ნიშნები – ეს არის სახელმწიფოს აქტიური ჩარეგა ეკონომიკაში, მიკროეკონომიკის რეგულირება, ეკონომიკაზე ზეგავლენის ფორმებისა და მეთოდების მთელი ერთობლიობის გამოყენება, ეფექტიანი მოთხოვნის სტიმულირება” [6, გვ. 195].

მნიშვნელოვანია აგრეთვე ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ შემდგომ არ გაამართლა აგრეთვე სახელმწიფო დაგვამვის კონცეფციამაც, რომელიც გულისხმობდა ეკონომიკისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების დეტალურ ცენტრალიზებულ სახელმწიფო რეგულირებას.

ამრიგად, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თავისუფალი ბაზარი, ისევე, როგორც ეკონომიკის ყოვლისმომცველი ცენტრალიზებული რეგულირება, არ იძლევა საჭირო შედეგებს.

მაშასადამე, საბაზო ურთიერთობებისა და სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანაპირობებულობის პრობლემა რთული და მრავალწახნაგოვანია, რაც კიდევ უფრო აქტუალური ხდება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და ცივილიზებული საბაზო ურთიერთობების ჩამოყალიბების აუცილებლობის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Курс экономической теории. Общие основы экономической теории, микроэкономика, макроэкономика, переходная экономика: Учебное пособие / Руководитель авторского коллектива и научный редактор профессор А. В. Сидорович. – М., МГУ им. М. В. Ломоносова, Издательство "ДИС", 1997.

2. Теоретическая экономика. Политэкономия: Учебник для вузов/ Под ред. Г.П. Журавлевой и Н.Н. Мильчаковой. – М., Банки и биржи, 1997.

3. გურატაშვილი ალფრედ. სოციალური მიზნის ფილოსოფია. პრინციპების აღმოჩენის უზრუნველყოფის უზრუნველყოფია. პრინციპების აღმოჩენის მიზნის უზრუნველყოფია – ჰემპარიტად ადამიანური საზოგადოებრივი და სახელმწიფოს ფორმირებისა და ფუნქციონირების ამოსავალი თეორიული საფუძველი (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი, საერთაშორისო გამოცემლობა „პროგრესი“, 2003.

4. გურატაშვილი ალფრედ. ხალხის ინტერესების უზენაესობის თეორია. პრინციპების ახალი მეცნიერებლი მიმართულება და მმართველობითი სამართლის, ჰემპარიტად ადამიანური საზოგადოების სამართლებრივი სისტემისა და მთლიანად სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სისტემაშნადი თეორია (მონოგრაფია ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე). თბილისი, საერთაშორისო გამოცემლობა „პროგრესი“, 2003.

5. გურატაშვილი ანზორ. სოციალურად ორიენტირებული საბაზო ეკონომიკა და სამართლებრივი ფაქტორის გავლენა მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე (მონოგრაფია). თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა „პროგრესი“, 2008.

6. Ховард К., Журавлева Г., Эриашвили Н. Экономическая теория. Теория свободного рынка. М., Банки и биржи, ЮНИТИ, 1997.

7 . Кейнс Дж. М. Общая теория занятости, процента и денег. Перевод с английского. М., издательство “Прогресс”, 1978.

Nino Kuratashvili

Doctorant of Jacob Gogebashvili State University of Tbilisi

THE SOCIAL-ECONOMIC POLICY OF THE STATE AND ITS VALUE IN THE CONDITIONS OF FORMATION CIVILIZED MARKET RELATIONS

Summary

In scientific work the essence of a social-economic policy of the state and value of this policy in the conditions of formation of civilized market relations is considered.

Under the statement of the author, the social-economic policy of the state in truly human society represents the complex social and economic approach in which in unity it is considered: social – as the purpose, and economic – as an implementer of the social purpose.

ეპონომიკური სტატისტიკა

დაგით ქბილაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
ნინო აძესაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ბიზნესიცორმაციის საიმპეროობა და მისი ხარისხის გაზომვის სტატისტიკური მეთოდები⁶

ბიზნესში, ისე, როგორც ეკონომიკის სხვა სფეროებში, სწორი მმართველობითი ხასიათის გადაწყვეტილებების მიღება წარმოუდგენელია საიმედო ინფორმაციის გარეშე. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიმდინარე საუკუნისათვის დამახასიათებელი გარდაქმნების პირობებში, როდესაც, დროის ხანმოკლე პერიოდის მანძილზე, ეკონომიკური აღმავლობა მსოფლიოში ჩაანაცვლა მასიურმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა. ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში ზემოაღნიშვნულ ანომალიებს დაუმატა რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებებით ჩვენი ქვეყნისადმი მიყენებული ეკონომიკური ზარალი და რომ არა უცხოური დახმარებები, შედეგები უფრო მეტად დამანგრევებით იქნებოდა ბიზნესისა და მოსახლეობის სოციალური ყოფის თვალსაზრისით.

როგორ უნდა იმართოს ბიზნესი? საქმარისია თუ არა ის ცოდნა, რასაც ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლები აძლევენ მომავალ ბიზნესმენებსა და მენეჯერებს. ვინ ზრუნავს ბიზნესმენებისა და მენეჯერების საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. მართალია ამჟამად მსოფლიოში 850-ზე მეტი ბიზნესის სკოლა მოქმედებს, რომლებიც საქმიანი აღმინისტრირების მაგისტრებს 1300-ზე მეტი დასახელების პროგრამას სთავაზობს,⁷ მაგრამ ჩვენს ბიზნესმენებსა და მენეჯერებს მანც არ აქვთ გაცნობიერებული თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია უტყუარ ინფორმაციას სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებაში. ასეთი კატეგორიის ახალი ტიპის მმართველებს, უფრო სწორედ, მათ ერთ ნაწილს, მიაჩნია, რომ საქართველოში ამჟამად ბაზარი არ არის ცივილური ფორმით ჩამოყალიბებული, იგი ველურ ხასიათს ატარებს და საკუთარი ბიზნესის მართვისათვის საჭირო უნარ-ჩვეულები საკუთარ ინტეიციას ეფუძნება, რაც სრულიად საგმარისია მათი მიმდინარე საქმიანობისათვის. ბიზნესმენთა და მენეჯერთა მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ბიზნესის მართვაში, როგორც მიკრო, ისე მაკროდონებზე, საუკეთესო შედეგების მიღწევა შესაძლებელია მაშინ, როდესაც საკუთარ ინტეიციას ემატება აღბათური და სტატისტიკური მეთოდები.

ბიზნესის აღმინისტრირების თანამედროვე დასავლური პროგრამები ითვალისწინებს გადაწყვეტილებების მიღებისას რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებას. ზემოხსენებულის საილუსტრაციოდ იყენებენ შემდეგ მეთოდებს:

- **გავლენის დიაგრამები** თვალსაზრისით ახასიათებს (გამოსახავს) გადაწყვეტილებების ელემენტებს შორის არსებულ ურთიერთკავშირებს.

⁶ ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საგრანტო პროექტის (№ 042-spg-09) ფარგლებში.

⁷ Роберт Ф.Брунер и др. – Краткий курс МВА. Пер. с анг.-М., ЗАО Олимп-бизнес-2005.

- **გადაწყვეტილებათა გარიანტები** (მას გადაწყვეტილების ხის სახელწოდებითაც მოიხსენებენ) გრაფიკულად გამოსახული სქემებია, რომლებსაც იყენებს მენეჯერი პრობლემების სტრუქტურის დასახასიათებლად გადაწყვეტილებათა თანმიმდევრობისა და მიღებული შედეგების ჩვენებით;
- **სტატისტიკური მონაცემები და ალბათური გაანგარიშებები.** ალბათობა რაიმე მოვლენის მოხდენის შანსია. სტატისტიკური მონაცემები გამოიყენება შანსის გაანგარიშებისათვის. სტატისტიკური ინფორმაცია და ალბათური შეფასებები გვეხმარება გავიგოთ მიღებულ გადაწყვეტილებებზე განუზღვრელობის ზემოქმედება.
- **დისკონტიურება გვიხასიათებს** მომავალი ფულადი ნაკადების დღვენდელ (ამჟამინდელ) სიდიდეს. მოცემული მეთოდის გამოყენებით შესაძლებელია გამოითვალოს სამომავლო შემოსავლებისა და სარჯების მიმდინარე (ამჟამინდელი) ღირებულება.

ზემოაღნიშნული მეთოდი მაშინ იქნება გამოყენებადი ბიზნესის სფეროში სწორი გადაწყვეტილებების მიღებისას, როცა მათი გამოყენება ეფუძნება საიმედო ინფორმაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწყვეტილებების მიღების მხრივ შესაძლებელია საპირისპირო, უარყოფითი შედეგების მიღება.

ახლა გავვცნოთ ბიზნესინფორმაციის საიმღვობისა და მისი ხარისხის გაზომვის სტატისტიკური მეთოდების გამოყენებას. თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ მოცემული პრობლემა განვიხილოთ როგორც მიკრო (საწარმოს), ისე მაკრო (ქვეყნის) დონეზე. ეს უკანასკნელი და სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა: დასაქმება, მთლიანი შიდა პროდუქტი, ინფლაცია, საგარეო ეკონომიკური კავშირები და ა.შ. აყალიბებები ეკონომიკურ გარემოს, რომელიც ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაციული და მხედველობაში მისაღები რესურსია საჭირო გადაწყვეტილებების მიღებისას.

ინფორმაციის ხარისხის გაზომვის სტატისტიკური მეთოდების განხილვა დავიწყოთ საშუალო სიდიდეების გამოყენებით. ამასთან, საანალიზო პერიოდებად ავიღოთ 2003 და 2008 წლები. განა შეიძლება იმის დაჯერება, რომ, 2003 წლის მიხედვით, საშუალო ერთი რესტორნის ბრუნვის დეკლარირებული მაჩვენებელი 104 ლარი იყო? (2008 წლის მონაცემებით 376 ლარი) ან დღეში პურის ცხობით დაკავებული ერთი საწარმო საშუალოდ 144 ლარის პურს აცხობდა (2008 წლის მიხედვით 350 ლარი), ან მეორადი საქონლის ვაჭრობით დაკავებული მაღაზიები დღეში მხოლოდ 63 ლარის საქონლის ყიდულობდნენ (2008 წლის მონაცემებით 87 ლარი) ან ავტომობილების ტექნიკური მომსახურებით და რემონტით დაკავებული ერთი საწარმო დღეში საშუალოდ მომხმარებლებზე 34 ლარის მომსახურებას ეწეოდა? (2008 წლის მონაცემებით 150 ლარი).

ბუნებრივია, დამახინჯებული დეკლარირებული პირების მიღებით ნაერთი მაჩვენებლების გამოსაყვანად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ტრადიციული სტატისტიკური გამოკვლევების პარალელურად, დაიწყო საქციალურად ორგანიზებული შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება, რომლის დროსაც იყენებდა სპეციალურად მომზადებულ ინტერვიუერებს. ჩვენი აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა ასეთი სახის გამოკვლევებში განხორციელებული სტატისტიკური დაკვირვებების ჩატარების მეთოდები, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, ფარული ქრონომეტრაჟის სახეს ატარებდა. ავიღოთ, მაგალითად, რესტორნების ბრუნვის რეალური მაჩვენებლების დასადგენად ჩატარებული სპეციალურად ორგანიზებული შერჩევითი სტატისტიკური დაკვირვება. შერჩევაში მოხვედრილი რესტორნების მიმდებარებ განლაგებული ინ-

ტერვიუმერები 10 დღის ვანმავლობაში აკვირდებოდნენ გამოსაკვლევ ობიექტებში შემსევლელ მომხმარებელთა ნაკადებს და ოოგორც ჩევულებრივ, ისე გამოსასვლელ დღეებში ითვლიდნენ მათ ოოდენობას. ინტერვიუერთა მეორე ჯგუფი ახორციელებდა მათ მენეჯერებთან მოლაპარაკებას – თითქოს ქორწილის, დაბადების დღის ან სხვა მოტივით სურდათ მათი მომსახურების მიღება და არკვევდნენ რა დაუჯდებოდათ საშუალოდ ერთ ადამიანზე ასეთი სახის მომსახურება. მენეჯერები იძლეოდნენ დაწერილებით და ზუსტ ინფორმაციას კლიენტის მომსახურების საშუალო, მინიმალურ და მაქსიმალურ დირექტულებაზე. მოპოვებული ინფორმაციის გავრცელებით თვეზე, კვარტალსა და წელიწადზე, იღებდნენ რეალურ ინფორმაციას, რომელსაც უდარებდნენ დეკლარირებულ მაჩვენებლებს და მათ შორის ვლინდებოდა ჯერადობითი განსხვავებები.

ანალოგიური სპეციალური კვლევები ჩატარებულია ბენზინის რეალიზაციის მოცულობის დადგენის, მშენებლობის პროდუქციის ფაქტობრივი მაჩვენებლის განსაზღვრის, პურის ცხობის რეალური მაჩვნებლების დადგენის, სამედიცინო მომსახურების მოცულობისა და განათლების დაწესებულებების კომერციული მომსახურების შეფასებისა და ბაზრობებზე ინდივიდუალურ მეწარმეთა საგაჭრო ბრუნვის მაჩვენებლის და ა. შ. დადგენის მიზნით. როგორც გამოკვლეული სფეროების ანალიზი გვიჩვენებ, შესწავლილ-გამოკვლეულია ისეთი სახის საქმიანობები, რომლებიც ყველაზე მეტად „მგრძნობიარეა“ ჩრდილოვანი გაონომიერი მიმართ.

მოცემული სპეციალურად ორგანიზებული შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევები ჩატარდა შემდეგის მიხედვით:

გამომავლი ცხრილების შემუშავება

კითხვარი – პროექტის შემუშავება

საცდელი გამოკვლევების ჩატარება

გენერალური ერთობლიობის განსაზღვრა


შერჩევის გეგმის შემუშავება

კითხვარის დაზუსტება, კორექტირება

კითხვარის ბეჭდვა

ინტერვიუერების და
დამკვირვებლების მომზადება

მოსამართებელი ქანა




რესპონდენტის უშუალო დაკვირვება

მონაცემების შეგროვება და
რედაქტირება

მონაცემების შეტანა კომპიუტერში,
კონტროლი და დამუშავება

მონაცემების ანალიზი

გამოკვლევის შედეგად მიღებული
მონაცემების განრიცხვა



განხორციელების ქრაცი

ზემოაღნიშნულ სქემაში ჩამოთვლილი ეტაპებიდან შევჩერდეთ ისეთებზე, რომლებსაც განსხვავებული ფორმით იყენებენ სპეციალურად ორგანიზებული სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარებისას. უპირველესად შევჩერდეთ მათი ჩატარების ფორმაზე დაკვირვების ფარული ქრონომეტრაჟის ფორმით. ოპონენტები აღნიშნავენ, რომ სტატისტიკურ ორგანოებს არ აქვთ ასეთი ფორმით დაკვირვების განხორციელების უფლებამოსილება, რაშიც მათ ვერ დავთანხმებით. ასეთი სახის დაკვირვება სხვა არაფერია, თუ არა, სპეციალურად ორგანიზებული ერთდროული სტატისტიკური დაკვირვება, დაბგირვების უშუალო მუთოდის გამოყენებით [1, გვ. 47].

სწორედ ფარული ქრონომეტრაჟის ფორმა აძლევს ასეთი სახის კვლევებს უტყუარი ინფორმაციის შეგროვების საშუალებას და ამით განსხვავდება იგი დაკვირვების განხორციელების დოკუმენტური ხერხისაგან, რომლის მიხედვითაც, რესპონდენტების მიერ შედგენილი დოკუმენტები სხვადასხვა მიზეზების გამო დამახინჯებულია (ამის შესახებ ქვემოთ დატალურად შევჩერდებით)

ზემოაღნიშნული კვლევების მაღალი შედეგიანობა, მიღებული ინფორმაციის საიმედოობის თვალსაზრისით, განაპირობა შერჩევითი გამოკვლევების ჩატარების თითოეული ეტაპისადმი მცნიერულმა მიღობამ და შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარების მეთოდოლოგიის სრული არსენალის ამოქმედებამ. ასე მაგალითად, შერჩევის გეგმის შედგენისას, თითოეული სახის გამოკვლევისას, მათი ჩატარების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვრად ხდებოდა გამოკვლევის სახელვრების დადგენა. სილამაზის სალონების საქმიანობის შესასწავლად ჩატარებული შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევისას, ობიექტთა გენერალური ერთობლივობის დაზუსტებისათვის გამოყენებულ იქნა მათი რაოდენობის მახასიათებელი ყველა შესაძლო წყარო. კერძოდ ისეთი, როგორიცაა: ბიზნეს-რეგისტრის მონაცემები, ქ. თბილისში ჩატარებული საწარმოთა საყოველთაო ეკონომიკური აღწერის⁸ და სანეპიდსადგურების მონაცემები, რომელთა შეჯერებამ მაქსიმალურად ზუსტი გახსადა ეკონომიკურ სუ-

⁸ ასეთი სახის აღწერების ჩატარება დასავლეთის ქვეყნებში გავრცელებული ფორმაა, რომელიც ტარდება 5 წელიწადში ერთხელ. www.census.gov. –

ბიექტთა გენერალური ერთობლიობა, რომელიც საფუძვლად დაედო შერჩევითი ერთობლიობის ფორმირებას.

შერჩევის ფორმირებისას გენერალური ერთობლიობა, შერჩევის მეტი რეპრეზენტატულობის გამო, დაიყო სამ ჯგუფად (სტრატად): მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებად. ამ ჯგუფებში დასაქმებულთა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა:

საწარმოთა სიდიდე	დასაქმებულთა რაოდენობა
მსხვილი	7-ზე მეტი
საშუალო	4-დან 7-ის ჩათვლით
მცირე	4-ზე ნაკლები

შერჩევის კვოტების დადგენის საფუძველს წარმოადგენდა 95%-იანი საიმედობით წინასწარ მოსალოდნელი 5%-იანი ცდომილება, რაც ფორმულის სახით ასე გამოიყერება:

$$n_i = \frac{N_i^2 S_i^2}{V + NS_i^2}$$

სადაც n_i არის i -ურ სტრატაში შერჩეულ საწარმოთა რაოდენობა.

N_i – i -ურ სტრატაში საწარმოთა სრული რაოდენობა.

V – წინასწარ დაფიქსირებული მოსალოდნელი ცვლილება.

S_i^2 – არის i -ურ სტრატის დისპერსია.

ქვემომოვყანილი ცხრილი გვიჩვენებს აღნიშნული სამი სტრატიდან თოთვეულ ში ობიექტების საერთო რაოდენობასა და შერჩევის კვოტებს.

საწარმოები	გენერალური ერთობლიობა	შერჩევის მოცულობა
მსხვილი	65	65
საშუალო	131	40
მცირე	492	45
სულ	688	150

თითოეულ ჯგუფში (სტრატაში) წონები დადგინდა შემდეგი ფორმულის საშუალებით.

$$w_i = \frac{n_i}{N_i}$$

სადაც N_i – i -ურ სტრატაში ელემენტების რაოდენობაა.

n_i – i -ურ სტრატაში შერჩეული ობიექტების რაოდენობა.

გამოკითხვის შედეგად ინფორმაცია მიღებულ იქნა 138 ობიექტიდან, პასუხი ვერ იქნა მიღებული 12 საწარმოდან, რაც შერჩეული ობიექტების 8 პროცენტს წარმოადგენს.

მთლიანობაში, უარები შემდეგნაირად განაწილდა:

პასუხის ვერმიდების შემთხვევების განაწილება მისი მიზეზების მიხედვით

№	უარის ტიპი	რაოდენობა
1.	უარი განაცხადეს პასუხის გაცემაზე	0
2.	კერ მოხერხდა საწარმოს მეპატრონის ნახვა	0
3.	საქმიანობა დროებით შეჩერებულია	0
4.	არ იძებნება აღნიშნულ მისამართზე	0
5.	გაუქმებულია	12
6.	სხვა	0
	სულ	12

მიღებული უარების საფუძველზე მოხდა სტრატეგიული წონების კორექტირება. სახელდობრ, შეფასდა თითოეულ სტრატაში რეალურად არსებული ობიექტების რაოდენობა და გაიყო იმ ობიექტების რაოდენობაზე, რომელთაც კითხვაზე პასუხი გასცეს. ფორმულის სახით ეს ასე გამოიყერება:

$$w_i^{(1)} = \frac{n_i - n_i^{(1)} - n^{(2)}}{N_i - W_i n_i^{(2)}}$$

$w_i^{(1)}$ – სადაც კორექტირებული წონაა i -ურ სტრატაში,

N_i – i -ურ სტრატაში ელემენტების რაოდენობა.

w_i – i -ურ სტრატაში შერჩეული ობიექტების საწყისი წონა.

n_i – i -ურ სტრატაში შერჩეული ობიექტების რაოდენობა.

$n_i^{(1)}$ – i -ურ სტრატის შერჩევაში არსებული 4–6 ტიპის უარების რაოდენობა.

$n_i^{(2)}$ – i -ური სტრატის შერჩევაში 1–3 ტიპის უარების, ანუ იმ ობიექტების რაოდენობა, რომელთა წარმომადგენლებმა ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადეს ან გიხთან შეხვედრაც სხვადასხვა მიზეზით ვერ მოხერხდა. გამოკვლევის მონაცემებისაგან შეფასებების მიღებისას მოხდა ე. წ. π შეფასების ფუნქციის გამოყენება: შერჩევითი დაკვირვების Y_i ($i = 1, \dots, n_{resp}$) მონაცემებიდან მოხდა y მაჩვენებლის შეფასებითი ჯამური \bar{y} მნიშვნელობების მიღება ფორმულით:

$$\bar{y} = \sum_{i=1}^{n_{resp}} y_i p_i$$

სადაც $p(i)$ არის შერჩევაში i -ური მისამართის მოხვედრის ალბათობა, ხოლო n_{resp} არის მიღებული პასუხების რაოდენობა.

რეალური შედეგების ცდომილების დათვლის შედეგად ძირითადი პარამეტრებისათვის მიღებული შეფასებების ცდომილება 95 პროცენტიანი ალბათობით არ აღემატება $\pm 5,5\%$ -ს.

ზემოაღნიშნული მეთოდით ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მიღებული იქნა მეტად შთამბეჭდავი მაჩვენებლები:

- სილამაზის სალონების დეკლარირებული მაჩვენებლები 6-ჯერ ნაკლები იყო რეალურ მაჩვენებლებთან შედარებით;
- დეკლარირებული მაჩვენებლები რესტორნების მიხედვით 3,7-ჯერ იყო შემცირებული გამოკვლევის შედეგებით მიღებულ რეალურ მაჩვენებლებთან შედარებით;
- რეალიზებული ბენზინის ფაქტობრივი მოცულობა 3,1 -ჯერ მეტი იყო წარდგენილ ოფიციალურ მაჩვენებლებთან შედარებით;
- მშენებლობის პროდუქციის ფაქტობრივი მოცულობა 2-ჯერ და მეტად აღემატებოდა ოფიციალურად დეკლარირებულ მაჩვენებლებს;
- პურის ცხობის ფაქტობრივი მაჩვენებლები 3-ჯერ და მეტად ჭარბობს დეკლარირებულ მაჩვენებლებს;
- სამედიცინო მომსახურების ფაქტობრივი მაჩვენებლები 4,2-ჯერ იყო შემცირებული ოფიციალურად წარდგენილ მაჩვენებლებთან შედარებით;
- განათლების დაწესებულებების კომერციული მომსახურების ფაქტობრივი მაჩვენებლები 2-ჯერ აღემატებოდა დეკლარირებულს;
- ბაზრობაზე ინდივიდუალურ მოგაჭრეთა (ფიზიკური პირების) 40 პროცენტი ემალებოდა სახელმწიფო აღრიცხვას და ა. შ.

პირველადი სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ ღონისძიებად უნდა განვიხილოთ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა. ამ მხრივ კარგია, რომ ხანგრძლივი დებატების შემდეგ „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონში (მიღებულია 2009 წლის 11 დეკემბერს) შენარჩუნებულია იურიდიული და ფიზიკური პირებისაგან სტატისტიკური და სხვა სახის ინფორმაციის გამოთხვის ვალდებულება.

ამასთან, ამჟამად მოქმედ კანონმდებლობაში (საქართველოს ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კრიტერიუმი) არაა გათვალისწინებული „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზემოაღნიშნული ვალდებულებების არშესრულებების შემთხვევაში ადმინისტრაციული და სხვა სახის სახდელები. ასეთი საქანონმდებლო ნორმა ძირითადად პრეზუმუციული ხასიათის იქნებოდა და ხელს შეუწყობდა პირველადი ინფორმაციის საიმედოობას და დადგენილ ვადებში სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში წარდგენას.

ბიზნესინფორმაციის საიმედოობის უზრუნველყოფის მორიგ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ მეწარმეთა ინფორმაციული დაბრვირთვისა და მისი ოპტიმალური ზომის განსაზღვრა. მმართველობისა და თვითმმართველობის ყველა დონის ორგანიზები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, სხვადასხვა სახის არასამთავრობო და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები საწარმოებისაგან ითხოვენ სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი მოცულობის ინფორმაციას და ცოტას ფიქრობენ იმის შესახებ, თუ რა დოზით ტვირთავენ მეწარმეებს. მდგომარეობას ართვლებს ის გარემოება, რომ სახელმწიფო ორგანოებისა და პირველადი ინფორმაციის სხვა მომხმარებელთა მოთხოვნები ქვეყანაში არ არის კოორდინირებული. ბევრი მაჩვენებელი სტატისტიკურ, საგადასახადო, სოციალური დაცვის და სხვა უწყებების მიერ მეწარმეებისაგან მოთხოვნილ ფორმულარებში არ არის ერთმანეთთან შეთანხმებული. რიგი მაჩვენებელი დუბლირებულია. ამასთან, ზოგიერთ დეფინიციას ახლავს სხვადასხვაგვაროვანი განმარტება. ყოველივე ზემოთ აღნიშნული იწვევს მეწარმეთა შენიშვნებს და ზოგიერთი მათგანი საერთოდ უარს ამბობს ინფორმაციის შევსებაზე. ასეთ პირობებში მეწარმეთა ინფორმაციული დატვირთვის შესწავლა და მისი ოპტიმიზაციური ზომის განსაზღვრა, ჩვენი აზრით, მეტად აქტუალურია, რადგან მოცემული საკითხი როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული ასპექტით დღემდე შეუსწავლელია.

თავდაპირველად საჭიროა განვსაზღვროთ დეფინიციები: რა არის ინფორმაციული დატვირთვა და ოპტიმალური ინფორმაციული დატვირთვა?

ინფორმაციული დატვირთვა, ჩვენი აზრით, არის დროის გარკვეულ მონაკვეთში მეწარმის მიერ სტატისტიკური, საგადასახადო, სოციალური დაცვის, მასმედიის, არასამთავრობო და სხვა ორგანოების მიერ მოთხოვნილი რეგულარულად შესასრულებელი სამუშაოების ერთობლიობა, თავისებური ინორმაციული გადასახადი.

ოპტიმალური ინფორმაციული დატვირთვა, ჩვენი აზრით, ინფორმაციული ტვირთვის ის ზომაა, რომლის შესრულება შეუძლიათ ნორმალური დატვირთვის პირობებში.

ზემოაღნიშნული გამოქსახოთ ფორმულის სახით.

$$K_{0.9} = \frac{C + \Phi + D}{P \times O_{b0}} \quad (1)$$

სადაც:

$K_{0.9}$ – ინფორმაციული დატვირთვის კოეფიციენტი; C – მაჩვენებელთა რაოდენობა სტატისტიკურ ანგარიშგებაში;

Φ – მაჩვენებელთა რაოდენობა საფინანსო-საგადასახადო ანგარიშგებაში;

D – მაჩვენებელთა რაოდენობა სხვა სახის რეგულარულ ანგარიშგებაში;

P – მომუშავეთა რაოდენობა;

O_{b0} – გამომუშავებული დრო საათებში.

ფორმულის მრიცხველში ყალიბდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების, მასმედიის და ფართო საზოგადოების მოთხოვნილება ქვეყნისა და მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ, ფინანსურ, ეკოლოგიურ მდგომარეობაზე და ა.შ.

მოცემული სახის ინფორმაცია მეწარმეების მიერ ეგზავნება ქვეყნის სტატისტიკურ, საფინანსო, საგადასახადო და სხვა უწყებებს. ამასთან, მოცემული სახის ინფორმაციის ფორმირებისას საჭიროა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, ის ინფორმაცია, რაც იწარმოება საწარმოში საკუთარი სამეწარმეო, საფინანსო და სხვა სახის საქმიანობის ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის, და, მეორე მხრივ, ისეთი ინფორმაცია, რომელიც ინფორმაციული გადასახადის სახით ყოველთვიურად, ყოველკარტალურად და წლიური პერიოდულობით ეგზავნება ზემოთ დასახელებულ უწყებებს. ბუნებრივია, პირველი სახის ინფორმაციის გარეშე (მაგალითად, ბუნალტრული ოპერაციების წარმოება) ვერ მოხერხდება საგადასახადო და სტატისტიკურ ორგანოებში წარსადგენი ინფორმაციის მომზადება. ამჟამად, რესპონდენტების მიერ საგადასახადო ორგანოებს ეგზავნება 25 დასახელების სხვადასხვა, კერიოდულობის ფორმა 700-მდე მაჩვენებლით, სტატისტიკურ ორგანოებს, შესაბამისად, 115 დასახელების სტატისტიკური ანგარიშგების ფორმა 6890 მაჩვენებლით. ცალკეული სახის ინფორმაციული რესურსების ფორმირებას, როგორც მიქრო, ისე მაკროდონებზე, საქართველოში არეგულირებს საგადასახადო კოდექსი, „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონები და რიგი კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტები. მართალია, ზემოაღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტებით განსაზღვრულია, ერთი მხრივ, მეწარმეთა, ხოლო მეორე მხრივ, შესაბამისი მმართველობითი სტრუქტურების ამოცანები ინფორმაციის წარმოების მხრივ, მაგრამ დასახელებული კანონები შემდგომ სრულყოფას საჭიროებს პირველადი ინფორმაციის მწარმოებულთა ზედმეტი მოთხოვნებისაგან დაცვის მხრივ. ჩვენი აზრით, საწარმოებიდან სხვადასხვა უწყებებში რეგულარულად

გამოთხოვილი ინფორმაციის კოორდინირების და რეგლამენტირების საკითხები ეროვნულმა სტატისტიკურმა სამსახურმა კანონით უნდა დაარეგულიროს.

მეწარმეების მიერ მომზადებულ პირების ინფორმაციაზე მოთხოვნის შესწავლის განხილვის შემდეგ საჭიროა განვიხილოთ №1 ფორმულის მნიშვნელი, სადაც ასახულია თანამშრომელთა რაოდენობა, ვინც დაკავებულია მოცემული ინფორმაციის შედგენით დროის გარკვეულ მონაკვეთში, რაც კაც-საათებში გამოისახება. მოცემული საკითხის შესწავლაში დაგვეხმარება მეწარმეთა სპეციალური კონიუნქტურული კვლევა, რომელიც სპეციალურად მომზადებული ინტერვიუერების გამოყენებით უნდა ჩატარდეს. საკითხთა ჩამონათვალი, რომელიც მოცემული კვლევით უნდა მოვიცვათ, პირობითად ასეთნაირად შეიძლება დაგაჯგუფოთ:

1. რა დროს ანდომებთ საშუალოდ ერთი დაკვეთილი ფორმის შედგენას?

- ერთ კაცსაათამდე;
- 2-4 კაცსაათს;
- 5-8 კაცსაათს;
- 8 კაცსაათზე მეტს.

2. დაკვეთილი ინფორმაციის რა მოცელობაა გათვალისწინებული თქვენი საწარმოს პირველად აღნიშვნაში?

- ინფორმაციის 10%;
- ინფორმაციის 10-30%;
- ინფორმაციის 30-60%;
- ინფორმაციის 60-90%;
- ინფორმაციის 90%-ზე მეტი;

3. ინფორმაციული დატვირთვის თვალსაზრისით რამდენად გაქმაყოფილებთ ამჟამად დაკვეთილი ინფორმაცია?

- a) საგადასახადო-საფინანსო:
- მაკმაყოფილებს;
- ნაწილოვრივ მაკმაყოფილებს;
- არ მაკმაყოფილებს;
- b) სტატისტიკური:
- მაკმაყოფილებს;
- ნაწილობრივ მაკმაყოფილებს;
- არ მაკმაყოფილებს;

4. თუ ამჟამინდებლი დაკვეთილი ინფორმაციის მდგომარეობა არ გაპრეცილებთ ან გაკმაყოფილებთ ნაწილობრივ, გთხოვთ გვაცნობოთ მიზეზი:

- a) საგადასახადო-საფინანსო ინფორმაცია:
- რიგი მაჩვენებლების გაანგარიშებისას საგადასახადო კოდექსის და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნები არ ემთხვევა ერთმანეთს;
- კითხვარების რაოდენობა ძალიან ბევრია;
- ადგილი აქვს სხვადასხვა ფორმებში მაჩვენებლების დუბლირებას;
- სხვა მიზეზი (მიუთითეთ).
- b) სტატისტიკური ინფორმაცია:
- ინფორმაციის წარმოდგენის ვადები ძალიან მცირეა;
- კითხვარების რაოდენობა ძალიან ბევრია;
- მაჩვენებლების რაოდენობა ფორმებში გადატვირთულია;
- ადგილი აქვს სხვადასხვა ფორმებში მაჩვენებლების დუბლირებას;

- სხვა მიზეზი (მიუთითეთ).

5. გთხოვთ გგაცნობოთ, რა სირთულეებს ხვდებით დაკვეთილი ინფორმაციის შევსებისას.

ახლა შევეცადოთ ოპტიმალური ინფორმაციული დატვირთვა გამოვსახოთ ფორმულით.

$$K_{0,0,0} = \frac{C_{06\text{თ.}} + \Phi_{\text{სტ.}} + D_{\text{პარ.}}}{P_{\text{პ.}}(C_{\text{კომა.}} + C_{06\text{თმ.}} + C_{\text{კომარ.}})} \quad (2)$$

სადაც:

$K_{0,0,0}$ ოპტიმალური ინფორმაციული დატვირთვის კოეფიციენტია;

$C_{06\text{თ.}}$ – სტატისტიკურ აღრიცხვაში მაჩვენებელთა რაოდენობა აღრიცხვის ინტეგრირებულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ;

$\Phi_{\text{სტ.}}$ – საფინანსო-საგადასახადო აღრიცხვაში მაჩვენებელთა რაოდენობა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სრულად დანერგვით;

$D_{\text{პარ.}}$ – სხვა სახის რეგულარული ანგარიშგების ჰარმონიზება საერთაშორისო სტანდარტებთან;

$P_{\text{პ.}}$ – ინფორმაციის წარმოებით დაკავებული მუშაკები კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ;

$C_{\text{კომა.}}$ – ინფორმაციის შედგენაზე დახარჯული დროის შემცირება კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით;

$C_{06\text{თმ.}}$ – ინფორმაციის მიწოდებაზე დახარჯული დროის შემცირება ინტერნეტის გამოყენებით;

$C_{\text{კომარ.}}$ – ინფორმაციის შედგენაზე დახარჯული დროის შემცირება თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით.

ახლა ცალ-ცალკე განვიხილოთ ოპტიმალური ინფორმაციული დატვირთვის უზრუნველყოფის ჩერენ მიერ შემოთავაზებული საკითხები.

დავიწყოთ სტატისტიკური აღრიცხვით.

1999 წლამდე მეწარმეობის ცალკეული მიმართულების მიხედვით არსებობდა 12 დასახელების სხვადასხვა სტატისტიკური ანგარიშგების ფორმა. ასეთი ინფორმაცია ეკონომიკის თითოეული დარგის მიხედვით ცალ-ცალკე იწარმოებოდა დასახმებაზე, პროდუქციის გამოშვებაზე, დანახარჯების სტრუქტურაზე, საფინანსო შედეგებზე, ძირითადი საშუალებების მოძრაობაზე, მატერიალური რესურსებით მომარაგებაზე და ა.შ. 1999 წლის შემდეგ მეწარმეთა ინფორმაციული ტერიტორის ოპტიმიზების მიზნით, სამეწარმეო სტატისტიკის პრაქტიკაში დაინერგა საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მახასიათებელი ინტეგრირებული ფორმა ეკონომიკის ყველა დარგისათვის, რომელმაც თავი მოუყარა მეწარმეობის დასახიათების ყველა ზემოთ დასახელებულ მიმართულებას. ასეთი ღონისძიებების გატარების შედეგად საშუალება გაჩნდა, ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი დარგებისა და რეგიონების მიხედვით დასახიათდეს საბაზრო ეკონომიკისათვის საჭირო ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა მოლიანი გამოშვება, შუალედური მოხმარება, დამატებული დირებულება, დასაქმება, ფინანსური შედეგი (მოგება, ზარალი), ინვესტიციები, ძირითადი კაპიტალი და ა.შ. 2001 წლიდან სამეწარმეო სტატისტიკის ინტეგრირებულმა ფორმებმა გარკვეული ცვლილებები განიცადა ქვეყნის საწარმოების ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით. მოცემული ღო-

ნისძიებების გატარებით და ეროვნულ ანგარიშთა სისტემა – 1993 წლის ვერსიის მოთხოვნათა გათვალისწინებით, ამჟამად მეწარმეები საოპერაციო და არასაოპერაციო კომპონენტების გაანგარიშებას ახდენენ არა საკასო, არამედ **დარიცხვის მეთოდით.**

რაც შეეხება №2 ფორმულის მეორე კომპონენტს – საფინანსო-საგადასახადო აღრიცხვაში მაჩვენებელთა საერთაშორისო სტანდარტებთან შეთანაწყობას, ეს საკითხი უშეალოდ კავშირშია მეწარმეთა ძირითადი ინფორმაციული რესურსის – საწარმოს ბალანსის და სხვა საგადასახადო ანგარიშების ფორმების წარმოებათან, რაც შესაძლებელი იქნება ყველა ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმის საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სრული დანერგვით. მოცემული ფართომატებებიანი სამუშაოს შესრულება სრულფასოვნად ვერ ხორციელდება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი რედაქციით მიღებული რიგი დაშვებების შედეგად, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნასა და საგადასახადო კოდექსის რიგი მუხლების მოთხოვნებს შორის არსებობს შინაარსობრივი განსხვავებები. ასე მაგალითად, კოდექსის 199-ე მუხლი – „შემოსავლების და ხარჯების აღრიცხვის პრიციპები“ უშვებს გადასახადის გადამხდელის არჩევანს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის ფორმის არჩევისას, „საკასო“ ან „დარიცხვის“ მეთოდის გამოყენებაში. აქედან გამომდინარე, დასაბუღრი შემოსავლების ფორმირება სხვადასხვა საწარმოში სხვადასხვა მეთოდით განხორციელდება. მოცემული სხვაობის დასაფიქსირებლად შემოღებულია მოგების კორექტირების ფორმა, რაც მეწარმის დამატებით დატვირთვას იწვევს. გარდა ამისა, შეუსაბამობა წარმოიქმნება მოგების მაჩვენებლის გაანგარიშებისას „სტატისტიკის მიზნებისათვის“ და „საგადასახადო მიზნებისათვის“, რაც მეწარმის დამატებით შრომას მოითხოვს და გარკვეულწილად ნაკლებად გამოსაყენებელს ხდის ნაერთ ინფორმაციას საგადასახადო ინფორმაციული ბაზის ფორმირებისათვის და, შესაბამისად, პროგნოზული მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.

რაც შეეხება № 2 ფორმულის მნიშვნელს, კერძოდ ინფორმაციის წარმოებით დაგავებული პერსონალის დროის რაციონალურ გამოყენებას, ამის მიღწევა შესაძლებელია აღრიცხვის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებით, საფინანსო-საგადასახადო და სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებისას კომპიუტერული ტექნიკისა და თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით, აგრეთვე, ინტერნეტის ქსელის სარგებლობით.

ოპტიმალური ინფორმაციული დატვირთვის კრიტერიუმები, ჩვენი აზრით, განსხვავებული უნდა იყოს საწარმოთა ტიპების მიხედვით (მსხვილი, საშუალო და მცირე). ვფიქრობთ, ოპტიმალური ინფორმაციული დატვირთვის მაჩვენებელი გაანგარისებული უნდა იქნეს როგორც მიკრო (საწარმოს), ასევე მაკრო (ქაფნის) დონეებზე. ეს უკანასკნელი აუცილებელია მეწარმის ინფორმაციული ტვირთის შედარებისათვის სხვადასხვა ქვენის მიხედვით.

რესპონდენტების ოპტიმალური ინფორმაციული ტვირთის უზრუნველყოფის შემდეგი ფაქტორია სხვადასხვა სახის რეგულარული ინფორმაციის შესაბამის ორგანოებში გაგზავნის ოპტიმალური ვადების დადგენა. ორიენტირად ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს საერთაშორისო სტანდარტები.

სპეციალურად ორგანიზებული შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევებით გამოვლენილი რეალური მაჩვენებლები მეტყველებს, რომ ვარდების რევოლუციამდე მნიშვნელოვნად იყო დაზიანებული პირებითადი ინფორმაცია როგორც ბიზნესში, ისე ეკონომიკის სხვა მიმართულებებში. როთ იყო გამოწვეული ინფორმაციის ესოდენ დიდი ოდენობით დამახინჯება? მოცემული პრობლემის შესასწავლად სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2003 წლის

შედეგებით გამოიკითხა 274 მსხვილი საწარმოს ხელმძღვანელი, რაც ამ ტიპის საწარმოთა 50% იყო. გამოიკითხეამ გვიჩვნა, რომ მათი ორი მესამედი დაინტერესებული იყო, ოფიციალურად დეკლარირებულ მაჩვენებლებში რეალურად აქსახათ თავიანთ საწარმოებში შექმნილი სიტუაცია (2000 წელს ჩატარებული ანალოგიური გამოკითხვის მასალებით მეწარმეთა მხოლოდ ერთმა მესამედმა აჩვნა დეკლარირებულ მაჩვენებლებში საწარმოებში შექმნილი რეალური სიტუაცია).

მონაცემთა დამახინჯების ძირითად მიზეზებად ბიზნესმენები თვლიდნენ შემდეგს:

- იმ დროს მოქმედი მაღალი საგადასახადო განაკვეთები (გამოკითხულთა 83%);
- საწარმოთა პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია(გამოკითხულთა 8%);
- მაკონტროლებელი ორგანოებისადმი მიცემული არაოფიციალური ქრონიკო (გამოკითხულთა 4%);
- სტატისტიკურ მაჩვენებელთა დამახინჯებაში ბრალეულ პირებზე ზემოქმედების არასაჭრისი საკანონმდებლო ნორმები (გამოკითხულთა 5%).

ასეთი სახის გამოკვლევების ჩატარება აქტუალურია ამჟამადაც, როდესაც ვარდების რევოლუციის შემდეგ ბრძოლა გამოეცხადა მექრთამებას, სიყალდება და სხვა მსგავს ანომალიებს. ამჟამინდებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვნებს, რომ ბიზნესმენების მიერ დეკლარირებული მაჩვენებლების ხარისხი 2003 წელთან შედარებით გაუმჯობესდებულია, თუმცა მათი უზუსტობა სრულად არაა აღმოფხვრილი.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტატიაში დასმული საკითხების მომავალში პერიოდულად შესწავლა. განსაკუთრებით სპეციალურად ორგანიზებული შერჩევით სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება, რაც ინფორმაციული დირექტულებების თვალსაზრისით გაცილებით საიმედოა ტრადიციულ კვლევებთან შედარებით. ასეთი ალტერნატიული კვლევები და ინფორმაციის საიმედობის შეფასების სხვა მეთოდები მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებული ინფორმაციული რესურსია ბიზნესის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას. განსაკუთრებით, ეკონომიკური განუსაზღვრელობის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. გაბიძაშვილი. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლის სტუდენტებისათვის. ევრო-ამერიკული პროგრამით. თბ., 2008.
2. დ. კბილაძე. რესპონდენტის ინფორმაციული დატვირთვის რაობის შესახებ. სამეცნიერო სტატიების კრებული. თბ., ფსკ, 2005.
3. Роберт Ф.Брунер и др. – „Краткий курс МВА.” Пер. с анг., М., ЗАО Олимп-бизнес-2005.
4. Д.Кбидадзе. О качестве статистической информации в Грузии. ж. "Вопросы статистики", 2005.
5. www.census.gov.
6. www.geostat.ge

David kbiladze

Academic Doctor of Economics

Nino Abesadze

Academic Doctor of Economics

BUSINESS-INFORMATION RELIABILITY AND STATISTIC METHODS OF MEASURING ITS QUALITY

Summary

In business as well as in other spheres of economics it's inconceivable to take the right administrative decisions without reliable information. While creating businessmen behaviour tactics and strategy it must be taken into consideration not only personal intuition but also using quantitative methods. It itself means such methods as: influence diagrams, decision alternatives, statistical data and probable calculations, discounts, etc.

All these above-mentioned is usable in terms of existing the right and relevant information for businessmen and managers. Information validity analysis and improving its quality directly deals with effectiveness of acceptable administrative decisions.

მნიშვნელოვანი მონოგრაფია
РЕЦЕНЗИЯ

на монографию кандидата экономических наук, доцента Эльдара Исмаилова «Валюты стран Центральной Евразии в контексте финансовой глобализации» (CA&CC Press. Стокгольм, 2009. – 130 с. на русском языке)

Сегодня среди проблем переходных обществ, а именно так сейчас называют страны отказавшихся от централизованно планового управления экономикой и вставших на путь формирования рыночных экономик, исследуемых обществоведами и в первую очередь экономистами, особое место занимают вопросы организации финансово-валютных систем. Это обстоятельство объясняется не только тем, что финансовая система является как бы «кровеносной системой» экономики, но и тем, что наличие собственной национальной валюты является атрибутом государственности (что было очень важно после распада СССР). Именно данной проблематике посвящена монография Эльдара Исмаилова «Валюты стран Центральной Евразии в контексте финансовой глобализации», в которой на базе историко-экономической ретроспективы национальных валют (с.9-46), показано развитие денежно-банковских систем региона Центральной Евразии (ЦЕА) и их интеграция в мировое финансовое пространство (с.47-119).

Автором, с привлечением исторических фактов, достаточно хорошо показано, что хрупкая государственность, принадлежность к разным империям обусловили рождение в данном регионе самых разных валют и денежных суррогатов (с.9-20), что, на наш взгляд, ещё раз подтверждает тесную взаимосвязь между стабильной государственностью и существованием национальной валюты как атрибута признака государственности. При анализе денежно-банковской системы в советский период, автор справедливо указывает на её характерные черты – наличие банковской системы в государственной собственности, отсутствие полного набора функций у денег и эквивалентного отражения стоимости товаров, необеспеченность денежной массы товарной и др. (с.29-32).

Анализируя тенденции возникшие после распада советской валютной зоны, автор справедливо замечает, что в результате этого набирали силу центробежные процессы результатом которых было создание национальных валют, в противоположность центро-стремительным процессам в Западной Европе, которые привели к созданию единой валюты – евро (с.33-39). Здесь же отметим, что аналогия между этими двумя процессами, требует определённого разъяснения: после распада СССР введение национальных валют суверенными государствами (бывшими союзными республиками) диктовалось как политическими причинами (национальная валюта как атрибут государственности), так и экономическими (глубина спада экономики и расстройство экономической системы не давала возможность выхода из кризиса сообща, в консолидированном режиме).

Интересен, предложенный автором, сравнительный анализ процесса введения национальных валют странами региона (с.40-46); выделяется при этом *общее* – «отсутствие валютного резерва и опыта работы в рыночных условиях; дефицит профессиональных кадров; крайне низкий уровень правовой базы; функционирование «чёрного» валютного рынка; чрезмерное усиление долларизации экономики; отсутствие системных связей с международными финансовыми институтами» (с.41), и *особенное* – использование рядом стран региона денежных суррогатов; наличие в ряде из них территориальных конфликтов; игнорирование рыночных принципов хозяйствования; одностороннее развитие экономик за счёт расточения природных ресурсов (см. с.42-45).

Анализу развития денежно-банковских систем стран исследуемого региона посвящена 2-я (заключительная) глава монографии, в которой автор показывает специфику денежно-банковских систем региона в условиях реального суверенитета (были введены собственные денежные единицы и сформирована двухуровневая современная банковская система, принято банковское законодательство) и современной мировой финансово-

валютной системы (переход от однополярной организации мирового финансового пространства к многополярной, усиление интеграции отдельных регионов); особое внимание уделяется влиянию мирового финансово-экономического кризиса на финансовую систему региона (истощение источников внешнего финансирования, обесценение национальных валют, кредитный риск и риск ликвидности) и исследуются интеграционные процессы на его финансово-валютном пространстве (валютная интеграция как средство укрепления национальных денег) (см. с.47-119).

Базируясь на положениях теории оптимальных валютных зон (ОВЗ) разработанной нобелевским лауреатом по экономике Робертом Манделлом (мобильность факторов производства; уровень развития взаимных торговых отношений; схожесть институциональных форм хозяйствования; диверсификация производства; финансовая интеграция; синхронность экономической динамики; уровень политической интеграции), автор применяет их к исследуемому региону и делает довольно интересные выводы. В частности, о наличии в регионе ограничений в движении рабочей силы и капитала; недостаточного уровня торговых отношений; несоответствия хозяйственных механизмов; слабой диверсифицированности отраслевой структуры производства; низкой степени развития интегрированного валютно-финансового рынка стран ЦЕА; отсутствие синхронности экономической динамики; недостаточного уровня политической интеграции. Главным же выводом этого анализа является, по мнению автора, то, «что в настоящее время создание валютного союза между странами региона в целом не соответствует необходимым условиям и критериям ОВЗ и данный процесс находится лишь на начальной стадии» (см. с.109-119).

В связи с этим считаем необходимым отметить здесь и довольно интересные предложения высказанные Президентом Казахстана Нурсултаном Назарбаевым в своей статье «Пятый путь» посвящённой цивилизационному кризису начала XXI века (специально написанной для агентства «Интерфакс» и газеты «Известия», 22 сентября 2009 года), и в частности, то, что «этот путь состоит в объединении усилий группы близких стран по разработке и введению в обращение наднациональной расчётно-платёжной единицы (а затем и валюты) принципиально нового класса». Выводы и предложения Эльдара Исмаилова во многом перекликаются с положениями и выводами вышеизданной статьи.

В монографии подчёркнута и значимость взаимодействия стран региона ЦЕА с Международными финансовыми институтами, и в первую очередь с Международным Валютным Фондом (МВФ) и Мировым Банком (с.51-55), при этом отмечается, что МВФ выработал «новые направления деятельности: разработку различных стандартов и кодексов как основы мировой финансовой архитектуры, достижение прозрачности информации, оценку и мониторинг финансовых секторов в разных странах мира, а после 11 сентября 2001 года – борьбу с финансированием терроризма и отмыванием денег, полученных преступным путём» (с.54).

В заключении монографии даны основные выводы полученные в ходе исследования, которые можно свести к одному **основополагающему выводу, что «при условии успешного согласования и выполнения макроэкономических параметров на центральноевразийском пространстве в долгосрочной перспективе не исключается возможность возникновения валютного союза и введение в регионе единой валюты»**(с.129).

Хочется выразить и уверенность в том, что надежда автора о том, «что идеи, заложенные в данной книге, будут способствовать восприятию стран Центральной ЕврАзии как динамично формирующегося региона, потенциал которого будет востребован для реализации общемировых целей социально-экономического развития» (с.130), будет несомненно воплощена в жизнь.

Теймураз Беридзе
доктор экономических наук, профессор
Международного Университета Чёрного Моря (г.Тбилиси)

ინფორმაცია

2008 წლიდან დაარსდა პაატა გუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, რომელიც გამოდის პერიოდულად.

შრომების კრებულში დაიბეჭდება მეცნიერ ეკონომისტთა (მეცნიერებათა დოქტორები, აკადემიური დოქტორები) შრომები, ასევე, ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების და პრაქტიკოს ეკონომისტთა სათანადო მეცნიერული დონის სტატიები.

ავტორთათვის კრებულში სტატიების გამოსაქვეყნებლად მოქმედებს შემდეგი წესები:

1. კრებულში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს საავტორო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში ყველა თანაავტორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერვალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეპუნდლარად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX, ხოლო ინგლისური – TIMES NEW ROMAN). ერთი გვერდის ლინებულებაა 5 ლარი.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economist1@rambler.ru, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და კრებულის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის დაგვიპავშირდით შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ.: 99-66-46; 99-74-09.

ააატა გუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა

ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე

შედაგათიან ფასებში

გთავაზობთ ნებისმიერ საგამომცემლო საქმიანობას:

- მასალის აკრეფა, დაკაბადონება, რედაქტირება
გამოიცემა:

- სამეცნიერო წიგნები და ნაშრომები, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, ცნობარები
- პერიოდული გამოცემები (სამეცნიერო შრომათა კრებული, სამეცნიერო ჟურნალები, კონფერენციის მასალები)

- ორიგინალური და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები, საბავშვო წიგნები, ალბომები და გზამკვლევები
- ელექტრონული დარგობრივი ჟურნალები

მისამართი: თბილისი, გერონტი ქიქოძის ქ. №14

36 94 77; 93 22 60; 99 66 46; 8(55) 33 01 38.

ელ.ფოსტა: gamomcemloba@rambler.ru

შურნალ “ეკონომისტში” სტატიების ფარმოდგნის ჭავბი

1. შურნალში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იყოს დამოუკიდებელი კვლევის შედეგი. ნაშრომი არ უნდა არღვევდეს სამეცნიერო უფლებებს და არ უნდა იყოს გამოქვეყნებული რომელიმე სხვა ორგანოში.
2. რედაქციაში წარმოდგენილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანავაკრორობის შემთხვევაში ყველა თანავაკრორის მიერ სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატია დაბეჭდილი უნდა იყოს 1,5 ინტერალით, A4 ფორმატზე, 12 ფონტით. რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ უზარმადად, ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS WORD, ქართული ტექსტი შრიფტით ACADNUSX), ხოლო ინგლისური TIMES NEW ROMAN).
4. შურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. რედაქციის მიერ სტატიის წარმოდგენის თარიღად ჩაითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი.
5. სტატია, რომელიც სრულად არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, რედაქციის მიერ არ მიიღება. ერთი გვერდის დირექტულებაა **5 ლარი**.

ნაშრომების გამოგზავნა შეგიძლიათ ელექტრონული ფოსტით შემდეგ მისამართზე: economisti1@rambler.ru, tealazarashvili@rambler.ru

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და შურნალის რედაქცია მზადაა თანამშრომლობისათვის.

დამატებითი ცნობებისათვის დაბგიპაზშირდით შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, ქიქოძის ქ. №14, ოთახი 13, ტ.: 99-66-46; 99-74-09.

სს ”საქართველოს ბანკში”კლიენტის ანგარიშზე თანხების კროვნულ
გალუტაში (ლარი)

ჩარიცხვისათვის აუცილებელი საბანკო რეკვიზიტები

მიმღების ბანკი:

სააქციო საზოგადოება ”საქართველოს ბანკი”

ცენტრალური ფილიალი (კოდი) 220101502

მიმღების დასახელება: სსიპ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი
მიმღების ანგარიშის ნომერი: 247786300

ტელ: +995-32-444444-7842

ფაქსი: 444176

ელ.ფოსტა: tmetreveli@bog.ge

THE RULES OF HANDING IN SUBMISSION THE REPORTS TO THE JOURNAL “ECONOMISTI”

1. Scientific works sent to publish should be the result of independent research. The work should guarantee copyrights and should not be published in other organs.
2. An original paper sent to editorial board must be signed by the author, and in case of coauthorship – by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
3. The paper should be printed by computer with 1,5 spacing, A4 format, 12 font. The articles should be send to editorial board in two printed copies together with electronic version (MS WORD, Georgian text font -AcadNusx, English text font-Times New Roman).
4. Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the autor for revision the date of receiving the final text is regarded as date of submission for consideration. Price of a page – 10 \$.

The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

The articles should be sent by e-mail to the address: economist1@rambler.ru, tealazarashvili@rambler.ru

Institute managers and editorial staff is ready for collaboration.

For additional information, please, connect to the address: Tbilisi, 14 Kikodze str., tel: 99.66.46.

BANK DETAILS FOR TRANSFERS IN US DOLLAR IN FAVOUR OF CUSTOMERS OF JSC BANK OF GEORGIA

Intermediary Bank

Citibank N.A., New York, USA

SWIFT: CITIUS33

Account With Institution

Bank of Georgia, SWIFT:BAGAGE22

3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia

Beneficiary: LEPL PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF ECONOMICS

Account: 247786300

Tel: +995-32-444444-7842

Fax: 444176

E-mail: tmetreveli@bog.ge

ქურნალი „ეკონომისტი”

მისამართი: თბილისი, 0105, გ. ქიქოძის ქ. 14; ტელ.: 996646; 932804; 899 970103.
E-mail: economisti1@rambler.ru

Journal “Economisti”

Edress: Tbilisi, 0105, Kikodze street, tel. (+995 32) 996646; 893 314628.
E-mail: economisti1@rambler.ru

პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა
გამომცემლობის რედაქტორი **სესილი ხანჯალაძე**

Publishing House of Paata Gugushvili Institute of Economics

Redactor of Publishing House **Sesili khandjaladze**